



**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სააღსრულებო
ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე**

კრებული მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური
განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ

შემდგენელი

ლიანა ლომიძე

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების
განყოფილების მთავარი კონსულტანტი

რედაქტორი

ნინო ძიძიგური

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი,

ფილოლოგიის დოქტორი

საქართველოს უზენაესი სასამართლო

2021

სარჩევი

Contents

შესავალი.....	5
1. კვლევის მიზანი	7
2. კვლევის მეთოდოლოგია	7
3. სასამართლო აქტის აღსრულების სავალდებულობა.....	8
3.1. სასამართლოს განმარტება გადაწყვეტილების აღსრულების სავალდებულობის თაობაზე.....	9
4. აღსრულების ორგანოები, აღმასრულებლის უფლება-მოვალეობანი.....	11
5. სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის და კერძო აღმასრულებლის ფუნქციების გამოიჯვანა.....	13
6. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველი	15
6.1. დაკისრებული მოვალეობების არაერთგზის დარღვევის გამო, სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება.....	16
7. აღმასრულებლის ქმედების გასაჩივრების წესი.....	18
7.1. აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა.....	18
7.2. აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მოვალისგან ამოღებული თანხის განაწილების კანონიერება.....	19
7.3. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებულად მიჩნევა და მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის საფუძველი.....	21
8. სააღსრულებო წარმოების ეტაპები	23
9. უძრავ ქონებაზე აღსრულების პროცესი	23
10. ყადაღა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება	23
11. ყადაღა, როგორც საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიება	24
11.1 აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის დროს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციისა და პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, ერთმანეთისგან გამოიჯვანა	25
12. კერძო აღმასრულებლის მიერ ყადაღადადებული ქონების შეფასება.....	29
კომენტარი.....	30
13. იძულებითი აუქციონი, როგორც სააღსრულებო წარმოების ერთ-ერთი ეტაპი	31
14. სააღსრულებო წარმოების მონაწილე პირების ინფორმირების წესი და გამონაკლისები	32
14.1. მოვალის ინფორმირება აღსრულების დაწყებისა და იძულებითი აუქციონის დანიშვნის თაობაზე.....	32
14.2. სააღსრულებო წარმოების საიდუმლოების დაცვის შესახებ.....	33

კომენტარი.....	35
15. მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის გზით განკარგვის კანონიერება	36
კომენტარი.....	37
16. სააღსრულებო ფურცელი.....	38
16.1. სანოტარო წესით გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების წესი	39
16.1.1. მამკვიდრებლის ვალდებულებების აღსრულება სანოტარო წესით გაფორმებული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.....	39
16.2. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის ნორმატიული შესაძლებლობა უფლებამონაცვლობის შემთხვევაში.....	42
16.2.1 უფლებამონაცვლე პირზე გაცემული ახალი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულების ხელმეორედ განხორციელების დაუშვებლობა	43
16.3 ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი.....	43
კომენტარი.....	44
17. სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველი.....	46
17.1 ხანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისა და სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების კანონიერება	46
17.2 სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისათვის უკან დაბრუნება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო..	49
18. იძულებითი აუქციონის შეჩერებისა და შეწყვეტის დაუშვებლობა	51
კომენტარი.....	52
19. სარჩელის უზრუნველყოფა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.....	53
19.1 სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები.....	54
20. სააღსრულებო წარმოების შეჩერება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ.....	55
21. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საფუძველი და სახეები.....	57
22. სარჩელის უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების გამოყენება ადმინისტრაციულ დავების განხილვისას.....	59
23. სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძველი.....	60
23.1. აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანების მოქმედების შეჩერება სასამართლოს მიერ საბოლოო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამოტანამდე.....	62
კომენტარი.....	63
24. დროებითი განჩინების პრევენციული ბუნება.....	64
კომენტარი	67
25. ძირითადი თეზისები.....	69

26. დასკვნა..... 71

შესავალი

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, სათანადოდ დაარეგულიროს აღსრულების სფეროში არსებული პრაქტიკა და შესაბამისი მონიტორინგი და სასამართლო კონტროლი დაამყარონ ამ სფეროზე.

მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაში გამოიხატება. სამართლიანი განხილვის უფლება ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც მოიცავს, აღსრულება განსაზღვრულია აღსასრულებელი გადაწყვეტილებით. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, სასამართლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. არ არსებობს უფლება, თუ არ არსებობს მისი ეფექტიანი აღსრულების მექანიზმი.

სასამართლო აქტების აღსრულების განხორციელების აუცილებლობა დადგენილია როგორც ეროვნული, ისე ევროპული სასამართლო პრაქტიკით. აღსანიშნავია, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ცალკე მითითება არა აქვს, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა აღნიშნული უფლება, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონვენციის ხელმძღვერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა სასამართლოს საბოლოო, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებლობას ერთი მხარის საზიანოდ, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებით, მაგრამ ზიანს არ უნდა აყენებდეს მე-6 მუხლით დაცული უფლების არსს.¹ დარღვეული უფლების

¹ ECtHR გადაწყვეტილებები: Hornsby c. Grèce, 19.03.1997, §40, Recueil 1997-II; „აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ, N40765/02, §37, 28.11.2006; დადიანი და მანაბელი საქართველოს წინააღმდეგ, №8252/08, §43,

დაცვა არ იქნება ქმედითი, თუ სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს აქტი დროულად არ სრულდება, ვინაიდან სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც, სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე. უფლება სასამართლოს დაცვაზე ილუზორული იქნებოდა ძალაში შესული სასამართლოს სავალდებულო გადაწყვეტილების აღსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება უნდა განვიხილოთ სასამართლოს განუყოფელ ნაწილად.²

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით³ გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება... უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას.“⁴ „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი⁵ ქმნის სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურსამართლებრივ გარანტიას და მოიაზრებს ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით სრულყოფილი და ეფექტური დაცვის შესაძლებლობას.“⁶

„სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულების შესაძლებლობა, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია. სასამართლოსადმი მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლებადაცვითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ

12.06. 2012; შპს „ამატ. ჯი“ და მეზღვივილი საქართველოს წინააღმდეგ, №2507/03, §47, 27.09.2005; შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ, №28537/02, §42, 27.09.2005.

² ECtHR გადაწყვეტილებები: ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ §40, შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ §42, შპს „ამატ-ჯი“ და მეზღვივილი საქართველოს წინააღმდეგ §47, აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ §55,56, ბურდოვი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ §34.

³ ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის რედაქციის 31.1 მუხლი.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „დაძიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-30.

⁵ ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის რედაქციის 31.1 მუხლი.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-9.

მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად აღსრულდება.“⁷

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ აწესრიგებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სპეციალურ წესებს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიმართ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები.

გადაწყვეტილების ეფექტიან აღსრულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისთვისაც, რადგან გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულების გარეშე, დარღვეული უფლების და სამართლიანობის აღდგენა მხარისათვის ვერ იქნება მიღწეული.

ნაშრომში აღწერილი მასალა და ანალიზი თვალსაჩინოა მკითხველისთვის, ასევე, ყურადსაღებია სასამართლოს როლი ადმინისტრაციულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში.

1. კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გაანალიზება, სააღსრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების გამომწვევი ძირითადი საფუძვლების შესწავლა და სასამართლოს მიერ აღნიშნული დავების გადაწყვეტის არსებული საშუალებების გამოყენების კანონიერების შეფასება. ასევე, კვლევის მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების განხილვა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებების საფუძველზე, სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება.

2. კვლევის მეთოდოლოგია

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის № 1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შესწავლილი იქნა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017-2021 წლების გადაწყვეტილება/განჩინება სააღსრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებზე. საქმის მასალები გაანალიზდა სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: ნაშრომში განხილულია გადაწყვეტილების/განჩინებების აღსრულების სავალდებულობის მნიშვნელობა ასევე, აღმასრულებლის და კერძო აღმასრულებლის ფუნქციები, აღმასრულებლის ქმედების გასაჩივრების წესი, სააღსრულებო საქმის შეჩერების და შეწყვეტის საფუძველი, სარჩელის უზრუნველყოფის და აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებები, გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის საკითხი და სხვა. თითოეულ საქმეზე სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებთან ერთად, მეტი თვალსაჩინოებისთვის ასევე, მითითებულია საკასაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმები და ძირითადი განმარტებები.

3. სასამართლო აქტის აღსრულების სავალდებულობა

სასამართლო ახორციელებს რა, სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. სასამართლო აქტის აღსრულებას სავალდებულო, სახელისუფლებო-იმპერატიული ძალის ბუნება აქვს. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, როგორც „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების ელემენტი, დაცული და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 31.1 მუხლით, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.⁸

⁸ საქართველოს კონსტიტუციის 62.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით. სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე, თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსთვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 4.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს აქტი, აგრეთვე თავისი

სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა/იმპერატიულობა გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს რომელიმე სახელმწიფო/ადმინისტრაციული ორგანოს, საჯარო თუ კერძო იურიდიული პირის ან ნებისმიერი თანამდებობის პირის მიერ, ამ ორგანოებსა და პირებს უფლება არა აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღონ. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან მათი აღსრულების შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით. სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მძიმე შედეგი – მართლმსაჯულების აღუსრულებლობა, მაშინ როცა ჯეროვანი და ეფექტიანი მართლმსაჯულება მიიღწევა არა მხოლოდ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გადაწყვეტის, არამედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონშესაბამისი, დროული აღსრულების უზრუნველყოფით.

აღსრულების პროცესი მოქნილობით უნდა ხასიათდებოდეს და უსაფუძვლო დაბრკოლებებს არ უნდა ქმნიდეს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.⁹

სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობის პრინციპი დღის წესრიგში მისი აღსრულების უზრუნველყოფის საკითხს აყენებს, რაც ამაზე სააღსრულებო ბიუროს კომპეტენცია ხდება მას შემდეგ, რაც შესაბამისი ვალდებულების სუბიექტი უარს იტყვის გადაწყვეტილების ნებით შესრულებაზე. სწორედ სააღსრულებო ბიურო უზრუნველყოფს მათ იძულებით აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

3.1. სასამართლოს განმარტება გადაწყვეტილების აღსრულების სავალდებულობის თაობაზე

უფლებამოსილების განსაზღვრის მიზნით სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოსათვის. ამავე კანონის 4.3 მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

⁹ სუსგ №ბს-476-464(კ-13) 24.04.2014.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები) აგრეთვე, თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

საქმე №ბს-1294(2კ-19)07.10.2020.

- საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტი;
- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულობა და კანონმდებლობით მისი იძულებითი აღსრულების შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რამეთუ „სასამართლოსადმი მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლებადაცვითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად აღსრულდება.“¹⁰ „ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების, მით უფრო – დარღვეული უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუკი არ მოხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება;“ „სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება აზრს დაკარგავს, თუ მართლმსაჯულების საბოლოო პროდუქტი – სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება.“¹¹ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სრულად, სასამართლოს მიერ დაფიქსირებული მითითებებისა და დავალებების დაცვით.

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-4.

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის №2/5/879 გადაწყვეტილება საქმეზე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-8.

პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობას ვალდებულება უნდა შეესრულებინა თანასწორობის პრინციპის დაცვით, რომელიც გარანტირებულია არა მხოლოდ სზაკ-ის მე-4 მუხლით, არამედ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ძირითად უფლებას წარმოადგენს. „კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“¹² ასევე, გასათვალისწინებელია, რომ თანასწორობის პრინციპი „კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორობა უთანასწოროდ (ან პირიქით) გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე მოპყრობის ნებისმიერ შემთხვევას.“¹³ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის სადავო განკარგულებით არ მომხდარა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ჯეროვანი აღსრულება, გასაჩივრებული აქტი არ იყო სათანადოდ დასაბუთებული და ვერ პასუხობდა თანასწორობის პრინციპის დაცვის მოთხოვნებს.

4. აღსრულების ორგანოები, აღმასრულებლის უფლება-მოვალეობანი

აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო. აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროს მეშვეობით.¹⁴ კანონით მკაცრად არის განსაზღვრული აღსრულების ეროვნული ბიუროს ფუნქციები და მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილების კანონთან ზუსტი შესაბამისობით აღსრულებას.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-1.

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, II-1.

¹⁴ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 5.1 მუხლი.

აღმასრულებელი – აღსრულების ძირითადი და სპეციალური ორგანოა. კანონი მას აკისრებს სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების ფუნქციის უშუალოდ განხორციელების ვალდებულებას.

გადაწყვეტილების აღსრულების დაწყებისას, აღმასრულებელი მოვალეს უგზავნის წინადადებას და აძლევს ვადას აღსასრულებელ აქტში ასახული მოთხოვნების ნებაყოფლობითი შესრულებისათვის, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს, სააღსრულებო წარმოების დაწყების (გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების) დღიდან.¹⁵

აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების (იგულისხმება ნებისმიერი სააღსრულებო დოკუმენტის) სწრაფად (დროულად) სრულად, სწორად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.¹⁶ აღმასრულებელი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებებით ისარგებლოს კანონის შესაბამისად და თავის საქმიანობაში არ დაუშვას ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. იმდენად, რამდენადაც აღმასრულებელი თავისი ფუნქციების შესრულების დროს ხელისუფლების წარმომადგენელია, მისი მოთხოვნათა სავალდებულოება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განპირობებულია აღსასრულებელი აქტების სავალდებულოებით და აღსრულებადობით. სხვადასხვა ორგანოების, ორგანიზაციების და ფიზიკური პირებისათვის სავალდებულოა აღმასრულებლის მხოლოდ ის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულებასთან. კონკრეტული სააღსრულებო მოქმედებების დაწყებამდე, აღმასრულებელი ვალდებულია შეამოწმოს აქვს თუ არა სააღსრულებო დოკუმენტს ყველა აუცილებელი რეკვიზიტი¹⁷ ე. ი. ვალდებულია შეამოწმოს მისი ნამდვილობა (უტყუარობა) აგრეთვე, აღსასრულებლად მისი წარდგენის ვადები. ამდენად, აღმასრულებელი ვალდებულია დაიწყოს აღსრულება იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება შემდეგი

¹⁵ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 25-ე მუხლი.

¹⁶ იმავე კანონის მე-17.7 მუხლი.

¹⁷ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 21-ე მუხლი.

პირობა: 1. არ არის გასული სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადა; 2. სააღსრულებო დოკუმენტი შედგენილია კანონის ყველა მოთხოვნების დაცვით; 3. გადახდილია აღსრულების საფასური, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე საფასური არ გადაიხდევენება.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაცია აღმასრულებელს აძლევს შესაძლებლობას, აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტებისათვის: აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტება ხდება სააღსრულებო წარმოების მხარეთა განცხადების ან აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით იმ შემთხვევაში, როდესაც აღსასრულებელი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით არის ბუნდოვანი და ამის გამო მისი აღსრულების შესახებ მხარეებს გააჩნიათ არაერთგვაროვანი შეხედულება.

5. სააღსრულებო ბიურის აღმასრულებლის და კერძო აღმასრულებლის ფუნქციების გამიჯვნა

კერძო აღმასრულებელი – ფიზიკური პირია, რომელიც სააღსრულებო საქმიანობას, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ლიცენზიის გაცემით მას მიენიჭება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების უფლება.¹⁸

კერძო აღმასრულებელი აღსრულებას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების მხარეები არიან ფიზიკური პირები ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირები და თუ სააღსრულებო დოკუმენტის მიხედვით, წარმოდგენილი აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნა არ აღემატება 500 000 ლარს. აღსრულების ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია მხოლოდ აუქციონის ჩატარების დღეს განხორციელებული, ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებული

¹⁸ ევროკავშირის რეკომენდაციების, მისი ფინანსური და ტექნიკური დახმარების მეშვეობით, კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი საქართველოში 2009 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა. კერძო აღსრულების ინსტიტუტის შექმნა ევროპული ქვეყნების გამოცდილების და მათი კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით მოხდა.

პროცედურის ამ კანონთან შესაბამისობისთვის. ყველა სხვა მოსამზადებელ თუ აუქციონის შემდგომ მოქმედებას ახორციელებს კერძო აღმასრულებელი საკუთარი პასუხისმგებლობით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 14⁷ მუხლით განისაზღვრება კერძო აღმასრულებლის კომპეტენცია,¹⁹ ხოლო აღმასრულებლის უფლება-მოვალეობებს ადგენს ამავე კანონის მე-17 მუხლი.²⁰

აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ახორციელებს კერძო აღმასრულებელი, რომელიც პასუხისმგებელია წარდგენილი სააუქციონო დოკუმენტაციის ფაქტობრივი მონაცემების სისწორეზე და სააღსრულებო წარმოების მხარეების წინაშე მის მიერ მიყენებული ზიანისათვის,²¹ მაშინ როდესაც აღსრულების ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია მხოლოდ აუქციონის ჩატარების დღეს განხორციელებული, ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცედურის ამ კანონთან შესაბამისობისთვის. ყველა სხვა მოსამზადებელ თუ აუქციონის შემდგომ მოქმედებას ახორციელებს კერძო აღმასრულებელი საკუთარი პასუხისმგებლობით.²² კერძო აღმასრულებელი ვალდებულია, მაქსიმალურად უზრუნველყოს მხარეთა მათ შორის, მოვალის უფლებების დაცვა, იმ მხრივ, რომ მას დროულად და ამომწურავი სახით მიეწოდოს ინფორმაცია განსახორციელებელი სააღსრულებო პროცედურების და სააღსრულებო მოქმედებებით მოსალოდნელი შედეგის შესახებ, გადაამოწმოს აღსრულების სამართლებრივი საფუძველი და ა.შ. იძულებითი აღსრულების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია ის სამართლებრივი ღირებულება, რაც

¹⁹ კერძო აღმასრულებელი აღსრულებას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების მხარეები არიან ფიზიკური პირები ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირები და თუ სააღსრულებო დოკუმენტის მიხედვით წარმოდგენილი აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნა არ აღემატება 500 000 ლარს.

²⁰ ყველა ადმინისტრაციული ორგანო, საბანკო დაწესებულება, მოვალესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ინფორმაცია მოვალის ქონებრივი მდგომარეობის, შემოსავლების, საბანკო ანგარიშების, ანგარიშებზე არსებული ნაშთებისა და თანხის ბრუნვის შესახებ; აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში; აღსრულების მსვლელობისას აღმასრულებელი უფლებამოსილია გამოიძახოს სააღსრულებო წარმოების მხარეები სააღსრულებო დოკუმენტების გასაცნობად, სააღსრულებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, მიიღოს ზეპირი და წერილობითი ინფორმაცია, თუ ეს აუცილებელია აღსრულების მიზნებისათვის.

²¹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 3.3 და 14^{16.1} მუხლი.

²² საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 14^{7.6}, 14^{7.12} მუხლები.

უკავშირდება პირის საკუთრების უფლების დაცულობას, ასევე მნიშვნელოვანია ამ პროცედურის შინაარსობრივი მხარეც, რომ იძულებითი აღსრულების შედეგად, სერიოზული საფრთხის ქვეშ არ დადგეს მოვალის ქონებრივი უფლებები.

სააღსრულებო კანონმდებლობით აუქციონის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, შესაბამისად, კერძო აღმასრულებელმა სააუქციონო მომსახურების გასაწევად უნდა მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადით, წარადგინოს სააუქციონო დოკუმენტაციის (სააღსრულებო წარმოების შესაბამისი მასალების) მის მიერ დამოწმებული ასლები და აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეიტანოს სააუქციონო მომსახურების დადგენილი საფასური, რომლის ოდენობაც განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.²³

6. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14¹⁴ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველები, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საფუძველებისა, არის ამ კანონით და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემატურად დარღვევა, რაც არსებით ზიანს აყენებს კერძო ან საჯარო ინტერესებს. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის №140 ბრძანებით დამტკიცებულ „კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესით“ განსაზღვრულია კერძო აღმასრულებელთა პასუხისმგებლობის საფუძველები და ზომები, კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ძირითადი პრინციპები. აღნიშნული წესის მე-3 მუხლის თანახმად, კერძო აღმასრულებლის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის

²³ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 14^{7.5} მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

სახით შეიძლება გამოყენებული იყოს გაფრთხილება ან სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმება. ამავე წესის 4.1. მუხლის თანახმად, კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგს პირთა განცხადებების, საჩივრებისა და შეტყობინებების აგრეთვე, სხვა ნებისმიერი გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, ხოლო 5.1. მუხლის თანახმად, გენერალური ინსპექცია წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად განცხადების, საჩივრის, შეტყობინების აგრეთვე, სხვა ნებისმიერი გზით ინფორმაციის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამის სამსახურს წარუდგენს დასაბუთებულ დასკვნას კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე. ამავე წესის მე-6 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის ზომის შერჩევას ითვალისწინებს დარღვევის შინაარსსა და სიმძიმეს, იმ შედეგებს, რომლებიც მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთ დარღვევას, კერძო აღმასრულებლის საქმიან და მორალურ რეპუტაციას.

6.1. დაკისრებული მოვალეობების არაერთგზის დარღვევის გამო, სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება

ლიცენზიის გაცემის, მის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტია და უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

საქმე №ბს-954(2კ-18) 23.04.2019.

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹⁴ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი;
- „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი.

კერძო აღმასრულებლის ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებულ დავაზე, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ლიცენზიის გაცემის, მის გაცემაზე უარის

თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტია და უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.²⁴ განსახილველ შემთხვევაში, სადავოა სწორედ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანების კანონიერება, ხოლო დავის სწორად გადაწყვეტისათვის უნდა გარკვეულიყო, ადგილი ჰქონდა თუ არა კერძო აღმასრულებლის მხრიდან ისეთი დარღვევის არსებობას, რაც საკმარისი იყო სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გასაუქმებლად. კერძო აღმასრულებელი წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირს, საჯარო მოსამსახურეს, რომელიც წარმოადგენს საჯარო ვალდებულებებით და უფლებამოსილებებით აღჭურვილ ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს. პალატამ მიიჩნია, რომ კერძო აღმასრულებლის მიერ მასზე დაკისრებული საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების შეუსრულებლობამ და არაჯეროვანმა შესრულებამ გამოიწვია კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის ძირითადი მიზნის – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულების არაერთგზის შეფერხება, რაც წარმოადგენდა სახელმწიფოს ინტერესებთან შეუსაბამო ქმედებას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული დისციპლინარული სახდელი – სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება შესაბამისობაშია „კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესის“ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სახეზე იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების არსებითი დარღვევა, რომლებიც ატარებდა არაერთგზერად, სისტემატურ ხასიათს და საქმიანობის შესრულების დროს ქმნიდა მნიშვნელოვან რისკებს, რის საფუძველზეც გააუქმა ქვედგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და უარი ეთქვა მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებზე.

²⁴ საქართველოს კანონი „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“, მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი.

7. აღმასრულებლის ქმედების გასაჩივრების წესი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან ადმინისტრაციული სარჩელის შეტანის გზით, პირდაპირ სასამართლოში – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ საჯაროსამართლებრივი ხასიათის დავებს მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ასეთია მაგალითად, სარჩელი აღმასრულებლის ქმედებასთან (მოქმედებასა თუ უმოქმედობასთან) დაკავშირებით, იძულებითი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ და ა.შ.

7.1. აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა

სარჩელის სასამართლოში წარმოების მიღების შემდეგ, მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა ორგანომ განიხილოს. კერძოდ, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე არ განიხილავს საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. დაუშვებელია კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილების დანაწესის დაძლევა აღსრულების პროცედურებით.

საქმე №ბს-523-523(2კ-18)24.12.2020.

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18³ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი;
- სსსკ-ის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილი;
- სზაკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეებს აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავოდ განადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.²⁵

საკასაციო პალატის განმარტებით, დავის გადაწყვეტა საჭიროებდა სადავო სამართალურთიერთობის განვითარების, მოცემულ დავასთან კავშირში მყოფი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზს.

სადავო ბრძანების კანონიერების დადგენა საჭიროებდა მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელის და მისი ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნების იდენტურობის დადგენას, რის გამოც საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გააჩნდა პროცესუალური შესაძლებლობა შეემოწმებინა მოსარჩელის მოთხოვნისა და მის მიერ სასამართლოში აღძრული დავის იდენტურობა, მით უფრო, რომ სააპელაციო საჩივარში სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო უთითებდა სასამართლოს წარმოებაში არსებულ კონკრეტულ დავასა და რეკვიზიტებს. დაუშვებელია კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილების დანაწესის დაძლევა აღსრულების პროცედურებით.

საკასაციო პალატის განმარტებით, ახალი ადმინისტრაციული წარმოების კანონიერების, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის საკითხი არა სააღსრულებო ბიუროს, არამედ სასამართლოს უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება.

7.2. აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მოვალისგან ამოღებული თანხის განაწილების კანონიერება

იბულებითი აღსრულების პირობებში, აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება საინკასო დავალებების საფუძველზე, მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.

საქმე №ბს-1012(კ-19) 05.03.2020.

²⁵ სსკ-ის 266-ე მუხლი.

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, მე-17.5 მუხლის „ა“ პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლი.

კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მოვალისგან ამოღებული თანხის განაწილებასთან დაკავშირებით დავაზე, სადავო იყო ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების ვადაში მოვალის მიერ ნების გამოხატვის შედეგად, საინკასო დავალების საფუძველზე, ორი თვის გასვლის შემდეგ ვალდებულების შესრულება, რამდენად წარმოადგენდა ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებას და უნდა განხორციელდეს თუ არა შესრულებული ვალდებულებიდან აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაფარვა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე აღსრულების საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად.²⁶ თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასურის სახით გადახდილი თანხა კრედიტორს უბრუნდება, ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად.²⁷ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მხოლოდ მოვალის მიერ გამოხატული ნება ყველა შემთხვევაში, ვერ ჩაითვლება აღსასრულებელი მოთხოვნის კანონით დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით შესრულებად და სააღსრულებო წარმოება დასრულებულად, თუმცა მოვალისათვის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის მიცემული ვადის არსი მდგომარეობს მხარეებისათვის იძულების ღონისძიებებით გამოწვეული სიძნელეების აცილებაში, ადმინისტრაციული და სხვა რესურსების დაზოგვაში. იძულებითი აღსრულების პირობებში კი, აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება საინკასო დავალებების

²⁶ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №144 ბრძანებით დამტკიცებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესი,“ მე-2.1 მუხლი.

²⁷ აღნიშნული წესის მე-3.1 მუხლი.

საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.²⁸ აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.²⁹ განსახილველ შემთხვევაში წარდგენილი საინკასო დავალება არ წარმოადგენდა იძულებითი აღსრულების ღონისძიებას და იგი გაიცა მოვალის მიერ გამოხატული ნების – მოთხოვნის ნებაყოფლობით აღსრულების უზრუნველსაყოფად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფლებამოსილების სათანადოდ განუხორციელებლობამ – პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ გამოიწვია მოსარჩელის საკუთრების უფლების დარღვევა, რაც გამოიხატა აღსრულებადი ვალის შემცირებაში, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა საფუძველიანად მიიჩნია.

7.3. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებულად მიჩნევა და მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის საფუძველი

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რადროსაც, სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მიღება. გარიგების დადება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მხარეების მიერ აღიარებულია და სადავოდ არ არის გამხდარი ვალდებულება და მისი მოცულობა

საქმე №ბს-221(კ-20) 22.04.2021

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3.1 მუხლი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი

მოცემულ საქმეზე მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებულად მიჩნევა, კერძოდ, რამდენად ჰქონდა მოვალეს - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას კრედიტორის მიმართ

²⁸ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი.

²⁹ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტი.

მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელმაც კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ნორმატიულად გაწერილი პროცედურის ზედმიწევნით დაცვით, დროულად და ჯეროვნად უნდა აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება, თუკი მოვალე დაკისრებულ ვალდებულებას ნებაყოფლობით არ შეასრულებს. ამასთან, თანხის გადახდევინების საქმეებზე აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებაზე ან ამ ქონების ხარჯზე და კრედიტორს უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით გათვალისწინებული თანხა.

პალატის განმარტებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის განხორციელებისათვის ურთიერთობის ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს ერთმანეთის მიმართ შეუსრულებელი ვალდებულება, ამდენად სახეზე უნდა იყოს ურთიერთმოთხოვნები საპასუხო შესრულებაზე, რის გამოც ორივე ერთმანეთის მიმართ ერთდროულად უნდა იყვნენ როგორც მოვალეები, ასევე კრედიტორები.

პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ დავაზე ერთდროულად ერთმანეთის მიმართ შეუსრულებელი მოთხოვნები არ არსებობს, ვინაიდან თითოეულის მოთხოვნის ნაწილში სხვადასხვა პირია მოვალე.

გარდა ამისა, კომპანია-მოვალე გამოცხადებული იქნა გაკოტრებულად, რის გამოც გაუქმდა მისი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია, სამოქალაქო კოდექსის 454-ე მუხლის შესაბამისად კი, იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის საფუძვლები და სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებულად ვერ ჩაითვლება.

8. სააღსრულებო წარმოების ეტაპები

სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების ნებისმიერი სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს ეტაპობრივად (სტადიების გავლით). სააღსრულებო წარმოების ყველა ეტაპი (სტადია) ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნის.

კრედიტორი აღსრულების ეროვნულ ბიუროში იძულებითი აღსრულების დაწყების თაობაზე განცხადების წარდგენისას განსაზღვრავს აღსრულების სახეს. მას არ შეუძლია მოითხოვოს, რომ ერთდროულად განხორციელდეს აღსრულების რამდენიმე სახე.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25¹ მუხლის შესაბამისად, თანხის გადახდევინების საქმეებზე სააღსრულებო წარმოების ეტაპებია: ა) აღსრულების დაწყება; ბ) ქონებაზე ყადაღის დადება; გ) აუქციონის ჩატარება; დ) კრედიტორისათვის თანხის გადაცემა.

9. უძრავ ქონებაზე აღსრულების პროცესი

უძრავ ქონებაზე აღსრულება ხდება იძულებითი იპოთეკის რეგისტრაციით, იძულებითი აუქციონით ან სეკვესტრით (ქონების იძულებითი მართვა).

იძულებითი იპოთეკის შეტანა რეესტრში ხდება კრედიტორის განცხადების საფუძველზე.

უძრავ ქონებაზე აღსრულებას ექვემდებარება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და საჯარო რეესტრში შეტანილ უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების წილი.³⁰ კრედიტორი აღსრულების ეროვნულ ბიუროში იძულებითი აღსრულების დაწყების თაობაზე განცხადების წარდგენისას განსაზღვრავს აღსრულების სახეს. მას არ შეუძლია მოითხოვოს, რომ ერთდროულად განხორციელდეს აღსრულების რამდენიმე სახე.

10. ყადაღა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

ყადაღა წარმოადგენს აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ერთ-ერთ სახეს, რომელიც გამოიყენება აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით და ემსახურება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. დაყადაღებული ქონების

³⁰ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 61-ე მუხლი.

იძულებით აუქციონზე რეალიზაცია კი, ხშირ შემთხვევაში, ახდენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც საბოლოოდ, სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციაზე – მართლმსაჯულების განხორციელებაზე აისახება. მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, როგორც აღსრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახე, სააღსრულებო წარმოებაში ყველაზე ხშირად გამოყენებადი საშუალებაა. უძრავ ქონებაზე უძრავი ნივთი შეიძლება გამოყენებული იყოს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას, თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს უპირატესად ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით, იპოთეკის საგნის რეალიზაციით ან საკუთრებაში გადაცემით.

უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის ნებისმიერი ფორმით – გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვას. რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის, ხოლო უძრავ ქონებაში განთავსებულ მოძრავ ნივთებზე ყადაღის დადება – ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის საფუძველზე. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით. ყადაღის დადების ან გაუქმების აქტი/მიმართვა დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებულ ორგანოს.³¹

11. ყადაღა, როგორც საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიება

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, ყადაღა დაადოს პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა, ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში.

საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა შემოიფარგლება აღიარებული საგადასახადო ვალდებულების მოცულობით, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმ ოდენობის და მოცულობის გადასახადის

³¹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 63¹.1 მუხლი.

ამოღებას, რომლის არსებობა დადასტურებული და აღიარებულია,³² რის გამოც დავალიანების და ქონების საბაზრო ღირებულების შეუსაბამობის შემთხვევაში, ქონების ნატურით გადაცემა ხდება თუ დავალიანება აღემატება ქონების საბაზრო ღირებულებას ასევე, როდესაც ყადაღადადებული ქონების ღირებულება დავალიანების ტოლია ან მნიშვნელოვნად არ აღემატება დავალიანების მოცულობას, რათა არ მოხდეს მოვალის რეალურად არსებულზე მეტი ოდენობით არაგონივრული გადახდევინება. პალატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ აღსასრულებელ გადაწყვეტილებაში კონკრეტულად არ არის განსაზღვრული აღსასრულებელი თანხა და მხოლოდ ზოგადად არის მითითებული აღსრულების ფარგლები, დადგენას საჭიროებს დავალიანების ოდენობა.

11.1 აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის დროს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციისა და პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, ერთმანეთისგან გამიჯვნა

იძულებით აღსრულების პროცესში დასაშვებია არა მხოლოდ მთლიანი ქონების, ასევე, მისი ნაწილის გადაცემა, ადეკვატური პროპორციით.

საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობისა, ასევე აღსრულების თანაზომიერების პრინციპის დაუცველობა ქმნის აღმასრულებლის განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველს.

საქმე №ბს-881(კ-19)25.02.2021.

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18³ მუხლის მე-10 პუნქტი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლი.

სააღსრულებო წარმოებისას, ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და საჩივრდება სასამართლოში.

საკასაციო პალატის განმარტებით, აღსრულებას ექვემდებარება სასამართლოს გადაწყვეტილება მოვალის (გადასახადის გამამხდელის) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ. ამასთან, საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლი განსაზღვრავს

³² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241.1 მუხლი.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ორ სხვადასხვა საშუალებას – ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას და პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემას. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად, საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლო განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დადგენილი წესით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და საგადასახადო ორგანოს შორის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, ამავე ხელშეკრულების საფუძველზე საგადასახადო კანონმდებლობით, საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით, დაყადაღებული ქონების რეალიზაციის და სხვა აუცილებელ მოქმედებებს ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო.

საკასაციო პალატის განმარტებით, სადავო აქტის ბათილად ცნობა იწვევს ქონების ნატურით გადაცემის შედეგად დაფარული საგადასახადო დავალიანების აღდგენას, რომლის იძულებითი გადახდევინება შესაძლებელია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული აღსრულების სახეების გამოყენების აგრეთვე, საგადასახადო ორგანოს მიერ გაკოტრების პროცედურის დაწყების მეშვეობით.

კონკრეტულ დავაზე, აუქციონის მეშვეობით დაფარულ იქნა არა მხოლოდ აღიარებული დავალიანება და საურავები, არამედ სასამართლოს ბრძანების შემდეგ წარმოშობილი ახალი დავალიანება და საურავები, რომლის დასაფარავად ქონების აუქციონზე გატანა საჭიროებდა სასამართლოს ახალი ბრძანების გაცემას, რასაც ადგილი არ ჰქონია. საკასაციო პალატის განმარტებით, იძულებითი აუქციონი უნდა ჩატარებულიყო აღიარებული საგადასახადო დავალიანებისა და მასზე დარიცხული სანქციების იძულებითი გადახდევინების მიზნით და არა სასამართლო ბრძანების გამოტანის შემდეგ დარიცხულ საგადასახადო დავალიანებასთან და სანქციებთან დაკავშირებით. შესაბამისად, დადგენას საჭიროებდა არა აუქციონის ჩატარების მომენტისათვის არსებული დავალიანება, არამედ აუქციონის ჩატარების მომენტისათვის სასამართლო ბრძანების გამოცემის მომენტში აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული სანქციების გათვალისწინებით, არსებული საგადასახადო დავალიანების ოდენობა.

11.2. სარეალიზაციო ყადაღადადებულ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის არსებობის შემთხვევაში, სხვა მოთხოვნებთან მიმართებით უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნის უპირატესობა

სარეალიზაციო ყადაღადადებულ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის არსებობის შემთხვევაში, სხვა მოთხოვნებთან მიმართებით უპირატესობა უზრუნველყოფილ საგადასახადო მოთხოვნას ენიჭება. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოსათვის უპირატესი კრედიტორის სტატუსის მინიჭება არ გულისხმობს სხვა კრედიტორთა უფლებებისა და ინტერესების სრულ უგულებელყოფას, საგადასახადო დავალიანების ამოღებისას ადმინისტრაციული ორგანოების თვითნებობის დაშვებას.

საქმე №ბს-890-886(კ-17)12.07.2021.

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50.4 და 50.7 და 82³.1 მუხლები;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე, 242-ე მუხლები

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის სადავო ბრძანებისა და ამოღებული თანხის განაწილების დაყოვნების კანონიერების შეფასებასთან დაკავშირებულ დავაზე, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააღსრულებო წარმოების დაწყების შემდეგ, მოვალის ქონებას ედება ყადაღა, ტარდება აუქციონი და ამოღებული თანხა გადაეცემა კრედიტორს³³, რის შემდეგ სრულდება აღსრულების პროცესი. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს ჰყავს რამდენიმე კრედიტორი, ხოლო ყადაღადადებული ქონება გამოყენებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, აუცილებელია კრედიტორთა რიგითობის დადგენა უპირატესი კრედიტორის განსაზღვრის და ამოღებული თანხის კრედიტორთა შორის განაწილების მიზნით. გირავნობის საგანზე კრედიტორთა მოთხოვნის სიმრავლე უკავშირდება მოძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის სამართლიანად განაწილების პრობლემას. თუ სარეალიზაციო ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობის უფლება, გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან, საფასურისა და აღსრულების

³³ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25¹ მუხლი.

ხარჯის დაფარვის შემდეგ, პირველ რიგში დაკმაყოფილება საგადასახადო ორგანოს საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი, აღსასრულებლად წარდგენილი მოთხოვნები, რის გამოც აუცილებელია საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნის გავრცელების ფარგლების დადგენა იძულებითი აუქციონის დასრულების დღისთვის არსებული მონაცემების მიხედვით. ნივთის რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხის განაწილებისათვის გადამწყვეტია საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობა, თუმცა ნორმატიულად არ არის გამორიცხული თანხის განაწილების პროცესში რამდენიმე, მათ შორის, სააღსრულებო წარმოების დაწყების შემდგომ წარმოშობილი საგადასახადო გირავნობის არსებობის გათვალისწინება.

საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საფუძველს მოკლებულია მოსაზრება, რომ ერთხელ წარმოშობილი საგადასახადო გირავნობა უპირობოდ ვრცელდება შემდგომში ნებისმიერი საფუძვლით წარმოშობილ საგადასახადო დავალიანებაზე და არსებობს საგადასახადო დავალიანების სრულ გაუქმებამდე. პალატამ განმარტა, რომ ყოველი კონკრეტული დავალიანების წარმოშობა ქმნის ცალკეული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, საგადასახადო გირავნობის რეგისტრაციის მოთხოვნით მარეგისტრირებელი ორგანოსთვის ახალი შეტყობინების გაგზავნის საჭიროებას. პალატის განმარტებით, საგადასახადო გირავნობის უფლების გამოყენება შესაძლებელია იმის მიუხედავად, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ არაღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით შესაძლებელია საგადასახადო გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაცია. გირავნობით უზრუნველყოფილი საგადასახადო დავალიანების აღიარების საკითხი მნიშვნელოვანია აღსრულების შედეგად ამოღებული თანხის განაწილების და არსებული საგადასახადო გირავნობის უფლების რეალიზაციის შემთხვევაში, ვინაიდან საგადასახადო გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის პირობებში.

12. კერძო აღმასრულებლის მიერ ყადაღადადებული ქონების შეფასება

იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული ყადაღადადებული ქონების შეფასების ძირითადი დანიშნულება, მისი არარეალური ღირებულებით გასხვისების თავიდან აცილებაა. სააღსრულებო წარმოების ფარგლებში აღმასრულებლის მიერ ქონების არასწორ შეფასებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მოვალის უფლებების დარღვევა. ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შესახებ მხარის უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს სამომავლოდ აღსრულების პროცესის მონაწილის უფლების მოსპობას – იდავოს ქონების ფასზე, მას შემდეგ, რაც გაეცნობა აღმასრულებლის ინიციატივით განხორციელებული ქონების შეფასების შედეგებს და მიიჩნევს, რომ მისი ქონება არასწორად შეფასდა.

საქმე № 358(კ-19)20.01.2021.

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 18.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, 47.4 მუხლი.

მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენდა აუქციონზე, რეალიზაციამდე კერძო აღმასრულებლის მიერ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (იპოთეკის საგნის) რეალური ღირებულების სწორად განსაზღვრა, ქონების რეალურ ფასად რეალიზების მიზნით. მოსარჩელის მოსაზრებით, კერძო აღმასრულებლის მოთხოვნის საფუძველზე შედგენილი აუდიტის დასკვნა სწორად არ ასახავდა ქონების ღირებულებას, რის გამოც არსებობდა აუქციონზე უძრავი ქონების რეალურ ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად გაყიდვისა და მისი, როგორც მოვალის, უფლების შელახვის საფრთხე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე, სააღსრულებო წარმოების მხარეს უფლება აქვს (და არა ვალდებულებულია), სააღსრულებო წარმოების დაწყებისას ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასებამდე წარმოადგინოს ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ექსპერტის დასკვნა, რომლის დასაშვებად მიჩნევის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიურო. ამ უფლების გამოყენებისაგან თავის შეკავება ხელს არ უშლის პირს, აღმასრულებლის მიერ ქონების შეფასების შემდეგ წამოიწყოს დავა სარეალიზაციო ქონების ფასზე.

საკასაციო პალატის განმარტებით, ქონების აღწერის დროს, მისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობის შემთხვევაში, ქონების საბაზრო

ღირებულება აღინიშნება ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში, ხოლო თუ ქონების აღწერისას ფასების დადგენა შეუძლებელია, ქონებას ყადაღის დადების რეგისტრაციის შემდეგ შეაფასებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან აღსრულების ეროვნული ბიუროს დავალებით სხვა კომპეტენტური პირი.³⁴ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი გარემოების დასადგენად მნიშვნელოვანია სარეალიზაციო ქონებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების – აუდიტის და ექსპერტიზის დასკვნების ურთიერთშედარება, მათი სწორად შეფასება, ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი აუდიტის და ექსპერტიზის დასკვნების ურთიერთშედარებით დგინდება, რომ მათში ასახული მონაცემები არსებითად განსხვავებულია სარეალიზაციო უძრავი ქონების შეფასებასთან მიმართებაში.

კომენტარი

მოვალის ქონების შეფასება ნებისმიერ შემთხვევაში, საბაზრო ფასებით ხდება. ზოგადი წესით, ფასი უნდა შეესაბამებოდეს სააღსრულებო ლოკუმენტის აღსრულების დღეს არსებულ საბაზრო ფასს. აღმასრულებელი აღნიშნავს საბაზრო ღირებულებას ქონების აღწერის ეტაპზე. ქონების შეფასების დროს გასათვალისწინებელია ქონების მდგომარეობა ცვეთის და მუშა მდგომარეობის გათვალისწინებით.

თუ ქონების შეფასება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს ან/და მხარე (კრედიტორი ან მოვალე) სადავოს ხდის აღმასრულებლის მიერ ქონების აღწერის აქტში დაფიქსირებულ შეფასებას, მაშინ ქონების ღირებულების განსაზღვრისათვის აღმასრულებელი ნიშნავს სპეციალისტს (ან სპეციალიზებულ ორგანიზაციას). კანონის თანახმად, ეს შეიძლება იყოს ექსპერტი ან აუდიტი.³⁵ როგორც აღმასრულებლის, ისე სპეციალისტის მიერ განხორციელებული შეფასება უნდა ეცნობოს მხარეებს. სააღსრულებო წარმოების მასალებში უნდა იყოს წერილობითი დადასტურება ქონების შეფასების (შეფასების განხორციელების) შედეგების მხარეთათვის შეტყობინების შესახებ. თუ მხარეები არ ეთანხმებიან შეფასებას, მაშინ შესაძლებელია ქონება განმეორებითი შეფასდეს შემდეგი წესის შესაბამისად: მხარემ, რომელიც სადავოს ხდის აღმასრულებლის მიერ განხორციელებულ ქონების შეფასებას, თავად უნდა გასწიოს სპეციალისტის დანიშვნის ხარჯები.

³⁴ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 47-ე მუხლი.

³⁵ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი ნაწილი I, სდასუ. თბილისი, 2018. გვ. 389, 391.

სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე მხარეს (კრედიტორს, მოვალეს) აგრეთვე, უფლება აქვს აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარმოადგინოს ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ექსპერტის დასკვნა, რომელიც შედგენილია წარმოების დაწყებამდე 6 თვით ადრე. აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია ქონების რეალიზაციის დროს გამოიყენოს ერთ-ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი დასკვნა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მეორე მხარეს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ნივთის შეფასების დასკვნა. ორივე მხარის მიერ დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიურო წყვეტს რომელი დასკვნა მიიჩნის მიზანშეწონილად.³⁶

13. იძულებითი აუქციონი, როგორც სააღსრულებო წარმოების ერთ-ერთი ეტაპი

იძულებითი აუქციონი წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების ეტაპს, რომლის ჩატარების წესიც, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება, რომელიც ადგენს იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმებს, წესს და მასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს.³⁷

იძულებით აუქციონს ამ კანონით დადგენილი წესით ატარებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან სხვა პირი მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.³⁸ თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქონების მესაკუთრედ, აღსრულების ეროვნული ბიურო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს იძულებითი აუქციონის ჩატარებას. ამ შემთხვევაში, იძულებითი აუქციონი ტარდება ქონებაზე ყადაღის დადებიდან ერთი თვის ვადაში.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 69.1 მუხლის შესაბამისად, იძულებითი აუქციონი ტარდება ქონებაზე ყადაღის დადებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ამ კანონის 47.3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში.

³⁶ საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა. ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი, 2013, გვ. 246.

³⁷ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 71-ე მუხლი.

³⁸ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 69-ე მუხლი.

აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ, აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ.³⁹

14. სააღსრულებო წარმოების მონაწილე პირების ინფორმირების წესი და გამონაკლისები

სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი აღმასრულებელს მთელი რიგი ღონისძიებების გატარების ვალდებულებას აკისრებს (აღსრულების დაწყების შესახებ მხარეთა ინფორმირება, შეტყობინებების გაგზავნა და სხვა). აღნიშნული კანონის 25.7 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ინფორმირება ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს, 5 დღისა. აღმასრულებელი, კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა მხოლოდ სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა ინფორმირებისათვის.

სზაკ-ის 3.4 მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი გამონაკლისები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კონკრეტულ საქმიანობებთან მიმართებაში, რომლებზეც არ შეიძლება გავრცელდეს სზაკ-ის მოქმედება.⁴⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის და საქართველოს კონსტიტუციის 17.2 მუხლის დანაწესის განვრცობისათვის საჭიროა გამოყენებული იყოს „გამონათვის თავისუფლების საერთაშორისო პრინციპები“, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს გამონაკლისები, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებული დააკმაყოფილოს ინფორმაციის მოთხოვნა, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ეს ინფორმაცია გამონაკლისებს განეკუთვნება.

14.1. მოვალის ინფორმირება აღსრულების დაწყებისა და იძულებითი აუქციონის დანიშვნის თაობაზე

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულების დაწყების შესახებ სააღსრულებო წარმოების მხარეთა ინფორმირება ხდება „სააღსრულებო

³⁹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 75.3 მუხლი.

⁴⁰ სზაკ-ის 3.4 მუხლის გ¹ ქვეპუნქტი.

წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო უწყების ჩაბარებისთვის დადგენილი წესით და საშუალებებით. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ინფორმირება ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს, 5 დღისა. მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობება.

იძულებით აუქციონს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ატარებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან სხვა პირი მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქონების მესაკუთრედ, მაშინ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას იძულებითი აუქციონის დანიშვნის შესახებ. აუქციონის ჩატარების თაობაზე, აღსრულების ეროვნული ბიურო აქვეყნებს ინტერნეტ-განცხადებას. თუ სააღსრულებო ფურცელში აღსრულების საშუალება და წესი განსაზღვრულია იძულებითი აუქციონის (ქონების რეალიზაციის) სახით, აუქციონის დასანიშნად კრედიტორის განცხადება საჭირო არ არის. აღმასრულებლის ინიციატივით, მოვალეზე დამატებითი ინფორმაციის მიწოდება იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დროის და ადგილის შესახებ აღმასრულებელს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით არ ევალება, ამდენად აუქციონის ჩატარების შესახებ მხარეებს (შესაბამისი საგადასახადო ორგანოს გარდა) პერსონალურად არ ეცნობებათ. სააღსრულებო წარმოების მხარეებს თავად შეუძლიათ გაეცნონ იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დროის და ადგილის შესახებ ინფორმაციას.

14.2. სააღსრულებო წარმოების საიდუმლოების დაცვის შესახებ

სააღსრულებო წარმოება – სპეციალური ურთიერთობა, სადაც დაწესებულებებს ცალმხრივად დაუდგინდათ წარდგენილ ინფორმაციათა საიდუმლოების დაცვის ვალდებულება. ინფორმაციის გაცემის შესახებ სზაკ-ის ნორმები არ შეიძლება გავრცელდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელებული ცალკეული ქმედებების შედეგებთან.

საქმე №ბს-687-680(კ-16),07.03.17.

- „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლის გ¹ ქვეპუნქტი.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროდან გამოთხოვილი ინფორმაცია დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იმ საქმეებთან, რომლებზეც მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება და შესაბამისად, წარმოებისათვის დადგენილი ცალკეული მოქმედებების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონმდებლობამ ინფორმაციის დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებულად მოაწესრიგა ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებსა და იმ სუბიექტებს შორის, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს (ან მიმდინარეობდა) სააღსრულებო წარმოება, როგორც სპეციალური ურთიერთობა, სადაც დაწესებულებებს ცალმხრივად დაუდგინათ წარდგენილ ინფორმაციათა საიდუმლოების დაცვის ვალდებულება.⁴¹ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების გაცემაზე უარი დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების გაცემის ვალდებულება შეზღუდული იყო კანონმდებლობით და დაუშვებელი იყო ასეთი სახის დოკუმენტაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. საკასაციო პალატამ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და მე-19 მუხლების საფუძველზე გამიჯნა კრედიტორის, მოვალისა და სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირების უფლებები და საქმეზე დადგენილი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე არ წარმოადგენდა უფლებამოსილ პირს, ხოლო მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას. იგი სცდება ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებს და წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებულ გამონაკლისს, რის შესაბამისადაც, მოთხოვნილი ინფორმაციის მითითებულ ნაწილზე არ შეიძლება გავრცელდეს სზაკ-ის მოქმედება, რის გამოც დაინტერესებული პირის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივიდან ინფორმაციის გაცემის შესახებ მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა.

⁴¹ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მე-19 მუხლის თანახმად კი, ანალოგიური უფლებებით სარგებლობენ სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირები იმ შეზღუდვის გათვალისწინებით, რომ მათ შეუძლიათ გაეცნონ მხოლოდ იმ საქმის მასალებს, რომლებიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენენ მათ უფლებებზე და ინტერესზე.

კომენტარი

აღსრულების პროცესში საჭიროა კრედიტორისა და მოვალის ინტერესების სამართლიანად გათვალისწინება და დაბალანსება.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლში განმტკიცებულია სააღსრულებო წარმოებაში მხარეთათვის მინიჭებული ზოგადი უფლებები და მოვალეობები. თუმცა, ამ მუხლში მოცემული კრედიტორისა და მოვალის უფლებამოსილებების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის ე.ი. ამ მუხლში მითითებული არ არის ყველა ის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვთ მხარეებს სააღსრულებო წარმოებაში. სააღსრულებო წარმოების მხარეთა მთელი რიგი უფლებები დადგენილია კანონის სხვა მუხლებით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირებს შეუძლიათ გაეცნონ მხოლოდ იმ საქმის მასალებს, რომლებიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენენ მათ უფლებებზე და ინტერესზე.⁴²

დასრულებული სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული, არქივში დაცული დოკუმენტაციის გამოთხოვა აღსრულების განახლების ან/და სხვა საფუძვლით დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ხოლო არქივში დაცული, დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ასლები გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლებამოსილი პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.⁴³ აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივში დაცული იყო საქმეები, რომლებზეც წარმოება ჯარიმების დაკისრებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საქმეებზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება ხანდაზმულობის გამო შეწყდა და ვინაიდან

⁴² აღსრულების კოდექსის პროექტის 34.2 მუხლის მიხედვით, ნებისმიერ პირს უფლება აქვს, გაეცნოს განხორციელებული სააღსრულებო მოქმედების მხოლოდ იმ მასალებს და მიიღოს მათი ასლები, რომლებიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის უფლებაზე ან/და კანონიერ ინტერესზე, გარდა კომერციული, საგადასახადო, საბანკო საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციისა.

⁴³ იხ.: „დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №220 ბრძანების მე-9 და მე-10 მუხლები.

განმცხადებელი არ წარმოადგენდა აღსრულების პროცესში მონაწილე პირს, ხოლო განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა ღია/საჯარო ინფორმაციას, აღსრულების ეროვნული ბიურო მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიეწოდებინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის.

15. მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის გზით განკარგვის კანონიერება

ქონების კუთვნილებისა და დარღვეული უფლებების აღდგენის შესახებ დავა შეიძლება წარმოიშვას იმ სააღსრულებო მოქმედებების შესრულების დროს, რომლებიც დაკავშირებულია ქონებაზე გადახდევინების მიქცევასთან და ქონებაზე ყადაღის დადებასთან, როცა აღსრულებით ილახება იმ მესამე პირთა ქონებრივი ინტერესები, რომლებიც არ არიან მხარეები სააღსრულებო წარმოებაში.

საქმე №ბს-10(კ-20) 9 ივლისი, 2020.

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე, 42-ე და 44-ე მუხლები

კანონმდებლობის თანახმად, სამართლებრივი ვალდებულების შესრულების მიზნით, აღმასრულებელი უფლებამოსილია, დააყადაღოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება, ასევე – მოთხოვნები.

მოძრავი ქონების ღია აუქციონზე რეალიზაციასთან დაკავშირებით დავაზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს სარჩელი თბილისის სააღსრულებო ბიუროს განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ იმ საფუძველზე, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დაუშვებელი იყო და დარღვეულ უფლებებში აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოვალისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეეხება იმ ტიპის ქონებას (მოძრავი), რომელიც მართალია, აღმოჩენილია მოვალესთან, მაგრამ მესამე პირს მასზე გააჩნია

უფლებები.⁴⁴ აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია დაავალდებულოს მოვალე წარმოადგინოს თავისი ქონების ნუსხა და ინფორმაცია ამ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. ქონების ნუსხაში მოვალემ უნდა მიუთითოს აგრეთვე, მესამე პირის მიმართ თავისი მოთხოვნის საფუძველი და მტკიცებულებები და ასევე, ის ქონება, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს მას მესამე პირის მიმართ.⁴⁵ აღსრულების ეროვნული ბიურო კი, ვალდებულია შეამოწმოს მოვალის მონაცემების სისწორე და სისრულე.⁴⁶ მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტული ქონება იმყოფებოდა არა მოვალის ან მოვალესთან დაკავშირებული მესამე პირის, არამედ განსახილველ სააღსრულებო წარმოებასთან შემხებლობაში არმყოფი მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე და მის საკუთრებაში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ მოვალესთან აღმოჩენილი ქონების მიმართ და მოვალესთან საერთოდ შემხებლობაში არმყოფი პირის საკუთრებაში აღმოჩენილი ქონების მიმართ დადგენილი მოთხოვნები, რაც თავის მხრივ, არ იძლევა არსებითად იდენტური მიდგომის განვითარების შესაძლებლობას. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო განკარგულება მოსარჩელის მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის გზით განკარგვის ნაწილში უკანონოა და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

კომენტარი

ქონებაზე ყადაღის დადებისას, აღმასრულებელს შეუძლია ივარაუდოს, რომ მოვალის ტერიტორიაზე (ე.ი. საცხოვრებელში ან მოვალის ადგილსამყოფელზე) მყოფი ქონება სწორედ მოვალეს ეკუთვნის. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელი აღიძვრება მაშინ, როდესაც მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე უფლება აქვს. ამდენად აღნიშნული ნორმა იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად, ე.ი. აღსრულების საგნად. ასეთ ვითარებაში, აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარკებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან

⁴⁴ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 32-ე და 44-ე მუხლები.

⁴⁵ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 42-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁴⁶ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 42-ე მუხლის 4¹ პუნქტი.

გათავისუფლება. დაყადაღება მოვალეს არ ართმევს ქონებით სარგებლობის უფლებას, ხოლო კრძალავს ქონების განკარგვას: იჯარით გაცემას, გაქირავებას, იპოთეკით დატვირთვას, გასხვისებას და სხვა. კანონის 32-ე მუხლში გათვალისწინებულია სხვა პირთა უფლებების დაცვის მხოლოდ ერთადერთი ფორმა: უფლების დაცვა აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის (ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების) შესახებ სარჩელის წარდგენის გზით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ყადაღას ექვემდებარება მოვალის ყველა ნივთი, გარდა ამ კანონის 45-ე მუხლში ჩამოთვლილი ქონებისა (იგულისხმება, რომ ნივთები, რომლებსაც პოულობენ მოვალესთან, მას ეკუთვნის).“ სადავო კანონის 45-ე მუხლში ჩამოთვლილია ის ნივთები, რომლებიც არ ექვემდებარება დაყადაღებას, მიუხედავად იმისა, მოვალის სხვა ქონების ღირებულება აღემატება თუ არა აღსასრულებელი მოთხოვნის მოცულობას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 45-ე მუხლების სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ორი ნორმა ერთობლივად განსაზღვრავს არა ყადაღის დადების მოცულობას, არამედ თუ რომელი მოძრავი ნივთები ექვემდებარება დაყადაღებას და რომელი არა.⁴⁷

16. სააღსრულებო ფურცელი

საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილება თავისთავად ვერ აღსრულდება. აღნიშნული აქტის საფუძველზე გაიცემა – სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ბიუროში სააღსრულებო ფურცელის შეტანა ხდება მოვალის ან მისი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით. სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლება აქვს: საერთო სასამართლოებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს (თანამდებობის პირებს), არბიტრაჟს, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიას და მის კომიტეტს, ნოტარიუსს, დამოუკიდებელ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს.

სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დენის) გარეშე,⁴⁸ ხოლო სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ექვემდებარება აღსრულებას.⁴⁹ სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებო წარმოების

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/9/645 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 02.07.2015

⁴⁸ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 20.1 მუხლი.

⁴⁹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 20.2 მუხლი.

დაწყების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადება და სააღსრულებო ფურცელი.⁵⁰ თუმცა, აღნიშნული ავტომატურად არ ნიშნავს სააღსრულებო წარმოების დაწყებას. საამისოდ აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს შესაბამის სააღსრულებო მოქმედებებს. აღმასრულებელი აღასრულებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, რომელიც სააღსრულებო ფურცელში გადაიტანება. ღიდწილად, სწორედ სარეზოლუციო ნაწილის ფორმულირების სისწორესა და სიზუსტეზე არის დამოკიდებული სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების სისწრაფე და შედეგიანობა.

სააღსრულებო ფურცელი შეტანა ხდება სააღსრულებო ბიუროში მოვალის ან მისი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით. აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის სააღსრულებო წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართვისას, ტერიტორიულობის პრინციპის დაცვა სავალდებულო არ არის, თუ კრედიტორია ფიზიკური პირი, კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად.

16.1. სანოტარო წესით გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების წესი
სანოტარო ორგანოები ასევე, უფლებამოსილი არიან გასცენ სააღსრულებო ფურცელი, რომელიც დამოუკიდებლად წარმოადგენს აღსრულების დაწყების საფუძველს და შესაბამისად, მის საფუძველზე დამატებითი დოკუმენტის გაცემა არ ხდება.

16.1.1. მამკვიდრებლის ვალდებულებების აღსრულება სანოტარო წესით გაფორმებული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე

სააღსრულებო წარმოება, რომელიც მიმდინარეობს მამკვიდრებლის ვალდებულებების აღსრულების მიზნით, უნდა წარიმართოს სწორედ სამკვიდრო ქონების ფარგლებში, რაც უპირველესად გულისხმობს იმას, რომ მემკვიდრე მიღებული აქტივის პროპორციულად არის პასუხისმგებელი მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე და არ აგებს პასუხს მამკვიდრებლის იმ პასივებზე, რომელიც სცილდება მემკვიდრეობით მიღებული აქტივის ფარგლებს.

⁵⁰ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 25.1 მუხლი.

საქმე №ბს-1067(კ-19) 25.03.2021.

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484.1 მუხლი

წარმოდგენილი სარჩელის ფარგლებში სადავოდ იყო ქცეული მამკვიდრებლის ქონებრივი ვალდებულებების გამო მემკვიდრეების პასუხისმგებლობის ფარგლები, ანუ სამკვიდროს მიღების შემთხვევაში მემკვიდრეების რა ქონების ფარგლებში უნდა მოხდეს აღსრულება. საკასაციო პალატის განმარტებით, მოვალის გარდაცვალებითა და მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებით გამოწვეულია მოვალის უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში, უფლებამონაცვლეს შეიძლება დაეკალოს ვალდებულებათა მხოლოდ იმ მოცულობის შესრულება, რომელიც ტოლია ან ნაკლებია მემკვიდრეობით მიღებულ ქონებრივ უფლებებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მემკვიდრის ქონებრივი უფლებები გაუმართლებლად დაირღვევა და მას უსაფუძვლოდ დაეკისრება პასუხისმგებლობა სხვისი ქმედებისა და ვალდებულებისთვის. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდრო ქონება გამოინატება იდენტიფიცირებული ქონებით, რომელიც აღსრულების მომენტისთვის არსებობს და ეკუთვნის მემკვიდრეს, აღსრულება უნდა წარიმართოს სწორედ ამ ქონების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებით და არა ამ ქონების ღირებულების ფარგლებში ნებისმიერი ქონების დაყადაღებისა და აუქციონზე გატანის გზით. პალატის განმარტებით, სააღსრულებო მოქმედებებმა არ უნდა გამოიწვიოს მემკვიდრის საკუთრების უფლების არსებითად, გაუმართლებლად და უსაფუძვლოდ შელახვა, ამასთანავე, არ უნდა დაირღვეს პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებიც, ვინაიდან იძულებითი აღსრულების მიზანია კრედიტორის ნამდვილი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის და არა სხვა, ვალდებულებასთან კავშირში არმყოფი პირის ქონების ხარჯზე. შესაბამისად, აღსრულების პროცესი უნდა წარიმართოს უპირველესად უშუალოდ მემკვიდრეობით მიღებული ქონების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებითა და ამონაგები თანხის კანონით დადგენილი წესით განაწილების მეშვეობით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდრო მემკვიდრეს გადაეცა

ფულადი თანხის სახით ან აღსრულების განხორციელების დროისათვის მემკვიდრის მიერ გასხვისებულ იქნა მემკვიდრეობით მიღებული ქონება, მაშინ აღსრულება შესაძლებელია წარიმართოს მემკვიდრეობით მიღებული აქტივის ფარგლებში მემკვიდრის ქონების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარების მეშვეობით, რაც დააბალანსებს კრედიტორისა და მემკვიდრის ინტერესებს, უზრუნველყოფილი იქნება მემკვიდრის უფლება მამკვიდრებლის ვალდებულებების აღსრულების მიზნით უპირველესად აღსასრულებლად მიექცეს უშუალოდ მემკვიდრეობით მიღებული ქონება და არ მოხდეს მემკვიდრის უფლებების გაუმართლებელი შელახვა, მისი ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება, ხოლო კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ გამორიცხავს მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონების გასხვისება.

ამასთან, ის თუ რა ფორმით არის მიღებული სამკვიდრო, მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, ქონების რა ფარგლებში განხორციელდება ყადაღის დადება და შემდგომ აუქციონის გზით რეალიზაცია.

კომენტარი:

სანოტარო ორგანოები უფლებამოსილი არიან გასცენ სააღსრულებო ფურცელი. ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი, რომელიც უნდა შესრულდეს ნოტარიატის კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო დოკუმენტია, რომელიც იძულებით აღსრულებას ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებათა კანონის შესაბამისად. სანოტარო ორგანოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი დამოუკიდებლად წარმოადგენს აღსრულების დაწყების საფუძველს და შესაბამისად, მის საფუძველზე დამატებითი დოკუმენტის გაცემა საჭირო არ არის. სააღსრულებო ფურცლის დაუსაბუთებელმა გაცემამ შეიძლება გამოიწვიოს მოვალის უფლებათა დარღვევა, აღსრულების სხვა საფუძველებისაგან განსხვავებით, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება მოვალემ სადავო გახადოს სასარჩელო წესით და გაუქმების შემთხვევაში ის კარგავს აღსასრულებელი აქტის მნიშვნელობას.

სააღსრულებო წარმოება, რომელიც მიმდინარეობს მამკვიდრებლის ვალდებულებების აღსრულების მიზნით, უნდა წარიმართოს სწორედ სამკვიდრო ქონების ფარგლებში, რაც უპირველესად გულისხმობს იმას, რომ მემკვიდრე

მიღებული აქტივის პროპორციულად არის პასუხისმგებელი მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე და არ აგებს პასუხს მამკვიდრებლის იმ პასივებზე, რომელიც სცილდება მემკვიდრეობით მიღებული აქტივის ფარგლებს. იდენტიფიცირებული სამკვიდრო აქტივი გამორიცხავს როგორც მემკვიდრის მთლიანი (მათ შორის სამკვიდროს გახსნამდე საკუთრებაში არსებული) ქონების დაყადაღებას, ასევე სააღსრულებო ბიუროს შესაძლებლობას აუქციონზე უპირველესად სარეალიზაციოდ გაიტანოს სამკვიდროს გახსნამდე მემკვიდრის საკუთრებაში არსებული ქონება. თითოეული მემკვიდრის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორია თითოეული მათგანის წილის პროპორცია სამკვიდროს ღირებულებასთან და თითოეული პასუხისმგებელია მის მიერ მიღებული სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში, რის გამოც დაუშვებელია მამკვიდრებლის ვალდებულებების აღსრულება მემკვიდრეების მთელი ქონებით.

16.2. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის ნორმატიული შესაძლებლობა უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში

საქმე №ბს-419-539-კ-03,15.10.19.

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი.

სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში ორგანოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია გასცეს დუბლიკატი. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე ან მის უფლებამონაცვლეზე.⁵¹ სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემული იქნას გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული

⁵¹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 21.1 და 24-ე მუხლები.

დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.⁵²

16.2.1 უფლებამონაცვლე პირზე გაცემული ახალი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულების ხელშეწყობის გაცემის დაუშვებლობა

საქმე №ბს-310(კს-20), 07.10.2020.

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი.

საქმეზე საკვლევ საკითხს წარმოადგენდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის კანონიერება მოსარჩელის უფლებამონაცვლის მიმართ. საკასაციო პალატის განმარტებით, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა.⁵³ თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. სადავო შემთხვევაში, უფლებამონაცვლის განსაზღვრა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოხდა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. თუ მხარემ იძულებითი აღსრულების ფარგლებში დაამტკიცებს, რომ უკვე შეასრულა სასამართლოს მითითებები, აღსრულებული აქტის მეორედ იძულებით აღსრულება არ უნდა განხორციელდეს.

16.3 ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი

⁵² იხ.: ასევე სუსგ №ბს-138(კს-19)28.03.19.

⁵³ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 24-ე მუხლი.

საქმე №ბს-1093-1087(კს-17)18.01.2018.

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლები.

ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებით დავაზე, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში, დუბლიკატის და გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას. პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელმა ვერ შეძლო წარმოედგინა სსკ-ის მე-17 მუხლისა და სსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა არსებობაზე მიუთითებდნენ. საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რომ გაცემული სააღსრულებო ფურცელი დაკარგულია ან ადგილი აქვს მხარეთა უფლებამონაცვლეობას, რაც ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ მოთხოვნის უსაფუძვლობაზე მეტყველებდა.

კომენტარი

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი გაიცემა მხოლოდ დედანის დაკარგვის შემთხვევაში. დუბლიკატი გაიცემა იმავე გადაწყვეტილების (ან მისი ასლის) საფუძველზე, რომლის საფუძველზეც გაცემული იყო დაკარგული სააღსრულებო ფურცელი. კრედიტორმა სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის მიზეზები, თუ რა გარემოებებში დაიკარგა ფურცელი, უნდა აცნობოს სასამართლოს. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ საკითხის გადაწყვეტის (განხილვის) დროს, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ხომ არ მოხდა გადაწყვეტილების აღსრულება დაკარგული ფურცლის საფუძველზე, ვინაიდან თუ სააღსრულებო ფურცელი აღსრულებულია, დუბლიკატის გაცემა დაუშვებელია.

აღმასრულებელს არა აქვს აღსრულების სტადიაზე უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება, უფლებამონაცვლეობის საკითხს წყვეტს სასამართლო.

აღსანიშნავია, რომ უფლებამონაცვლეობის ინსტიტუტი დადგენილია სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობით, რომლის მიხედვით, უფლებამონაცვლეობა დაიშვება ფიზიკური პირის გარდაცვალების, იურიდიული პირის რეორგანიზაციის, მოთხოვნის დათმობის, ვალის გადაკისრების შემთხვევაში ე.ი. იმ შემთხვევებში, როცა სამართალურიერთობათა ერთ-ერთი სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები გადადის სხვა პირზე, რომელიც მანამდე არ მონაწილეობდა სააღსრულებო წარმოებაში.

უფლებამონაცვლეობა ნებისმიერ ეტაპზეა დაშვებული მათ შორის, აღსრულების ეტაპზეც.

საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ თავის თავზე იღებს თავისი წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს. შესაბამისად, თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამართლის მიხედვით დასაშვებია, მაშინ დასაშვებია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც.

სააღსრულებო წარმოებაში უფლებამონაცვლით მხარის შეცვლის საკითხი განიხილება სააღსრულებო წარმოებიდან გასული მხარის უფლებამონაცვლის, მოწინააღმდეგე მხარის ან აღმასრულებლის განცხადების საფუძველზე. აღმასრულებელს არ შეუძლია სააღსრულებო წარმოებაში მხარის უფლებამონაცვლის დამოუკიდებლად განსაზღვრა. ასეთი პროცედურა ხორციელდება სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი წესით. უფლებამონაცვლეობის დადგენა დამოკიდებულია იმ ფაქტის განსაზღვრაზე, ხომ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე აღსრულებული. კერძოდ, კანონმდებლის მიერ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უფლებამონაცვლეობის დაშვება გულისხმობს უფლებამონაცვლის განსაზღვრის შესაძლებლობას სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმართაც კი,

თუმცა, მხოლოდ ამავე გადაწყვეტილების აღსრულებამდე, აღსრულებული გადაწყვეტილების მიმართ უფლებამონაცვლეობის დადგენა არ ხდება, რამეთუ უფლებამონაცვლე ვერ მოითხოვს უკვე აღსრულებული გადაწყვეტილების ხელმეორედ აღსრულებას ან მას ვერ დაეკისრება უკვე აღსრულებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულების ხელმეორედ შესრულება.

17. სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია აღსრულების შეწყვეტის საფუძველები.

სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა ნიშნავს ყველა სააღსრულებო მოქმედების შეწყვეტას, საბოლოო დასრულებას, მოცემულ კონკრეტულ სააღსრულებო წარმოებაში, მათი განახლების უფლების გარეშე. სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა წარმოადგენს სააღსრულებო დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ რეალურად აღსრულების გარეშე სააღსრულებო წარმოების დამთავრების ერთ-ერთი ფორმას, რომლის დროსაც კრედიტორი კარგავს სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად განმეორებით წარდგენის უფლებას.

სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველები სააღსრულებო წარმოების შემდგომი გაგრძელებისათვის გადაულახავ ბარიერს ქმნიან, რაც შეუძლებელს ხდის განმეორებით აღსრულებას შეწყვეტის შემდეგ. კრედიტორისათვის სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნება არ იწვევს სააღსრულებო წარმოების შეწყვეტას. სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ კრედიტორი ინარჩუნებს სააღსრულებო წარმოების ხელახლა დაწყების უფლებას, მაგრამ კრედიტორს ამის განხორციელება შეუძლია აღსრულების ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რომელიც მისთვის სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების მომენტიდან გამოითვლება ხელახლა (თავიდან).

17.1 ხანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისა და სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების კანონიერება

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აღმასრულებელმა უნდა განსაზღვროს მოთხოვნათა ხანდაზმულობის საკითხი მატერიალური სამართლის მიხედვით; ხანდაზმულია თუ არა მოთხოვნა, უნდა დადგინდეს ხანდაზმულობის

დამდასტურებელ და გამომრიცხავ გარემოებათა დამდგენი მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით.

საქმე №ბს-66(კ-20) 23 ივლისი, 2020.

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34.1 მუხლის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტები.

ამ საქმეზე დავის საგანი შეეხებოდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლად მიჩნევას და სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისათვის უკან დაბრუნებას, სკ-ის 142.2 მუხლის საფუძველზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საკასაციო პალატის განმარტებით, დავის გადაწყვეტის მიზნით, განსახილველ შემთხვევაში, ერთი მხრივ, უნდა დადასტურდეს კანონით დადგენილ ვადაში სააღსრულებო წარმოების დაწყების ფაქტი, ხოლო მეორე მხრივ, სააღსრულებო წარმოების დაწყებულად მიჩნევის შემთხვევაში – აღსრულების ვადის გასვლის გამო სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველის არსებობა, ასევე უნდა შეფასდეს – აქვს თუ არა ადგილი სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის აღსრულების შეუძლებლობას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაფასებელია – განპირობებულია თუ არა ურთიერთობის მონაწილის მხრიდან კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში სათანადო ზომების მიუღებლობა, უფლების რეალიზებისადმი ინტერესის დაკარგვით, ხოლო ხანდაზმულია თუ არა მოთხოვნა, უნდა დადგინდეს ხანდაზმულობის დამდასტურებელ და გამომრიცხავ გარემოებათა დამდგენი მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით. პალატამ განმარტა, რომ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.⁵⁴ მოცემულ შემთხვევაში, სააღსრულებო ფურცლის კანონით დადგენილ ვადაში აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენით შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, რამდენადაც უფლებამოსილმა პირმა საკუთარი მოთხოვნის დაცვის

⁵⁴ სსკ-ის 267-ე მუხლი.

მიზნით განახორციელა შესაბამისი ღონისძიება, ხოლო თუ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.⁵⁵ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 142.1 მუხლით განსაზღვრული ათწლიანი ხანდაზმულობის ვადის გარდა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის რეალიზაციის დაწყების ვადას გულისხმობს, არსებობს აგრეთვე სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის კანონით განსაზღვრული ვადა, რომლის გასვლაც იწვევს უკვე დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტას. პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც კრედიტორების (კასატორების) მხრიდან არ არსებობდა დამატებითი ნების გამოვლენის ვალდებულება – სააღსრულებო წარმოება, აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის პირობებში, უნდა დასრულებულიყო იმავე წარმოების ფარგლებში. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მძიმე შედეგი – მართლმსაჯულების აღუსრულებლობა. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სადავო ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ აღსრულების შეწყვეტის საფუძვლებზე უკანონოდ მითითება, მოსარჩელებს ართმევს მათ ინტერესში არსებულ სააღსრულებო ფურცელზე წარმოების ჩატარების უფლებას, რაც ამავე კანონის 34.3 მუხლიდან გამომდინარე, გამორიცხავს იმავე გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოების განახლების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ აღსრულების შეწყვეტის საფუძვლების მითითება (თუნდაც, ისინი ნამდვილად არსებობდეს) თავისთავად არ ადასტურებს აღსრულების შეწყვეტას, აღნიშნული საჭიროებს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, რამდენადაც დაინტერესებული პირისათვის შედეგს იწვევს შესაბამის საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და არა თავისთავად გადაწყვეტილების მიღების საფუძვლის არსებობა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააღსრულებო ბიურომ ვერ უზრუნველყო მისთვის კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულება –

⁵⁵ სკ-ის 141-ე მუხლი.

აღსრულებას დაქვემდებარებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სადავო ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტში მიუთითა კანონით გათვალისწინებულ აღსრულების შეწყვეტის საფუძვლებზე,⁵⁶ თუმცა, საქმის მასალებით არ დასტურდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ან მიღებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების უზრუნველყოფა.

კომენტარი

სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ანუ აღსასრულებლად მისი წარდგენის ვადა და გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადები. თუ სააღსრულებო ბიურო 10 წლის ვადაში ვერ აღსრულებს აღსასრულებლად წარდგენილ სააღსრულებო დოკუმენტს, აღმასრულებელი ვალდებულია შეწყვიტოს იძულებითი აღსრულება, თუ გავიდა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა.⁵⁷

გასულია თუ არა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, ამ გარემოების შემოწმება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა თავად აღმსრულებლის მოვალეობაა. იგი ვალდებულია დაუბრუნოს კრედიტორს სააღსრულებო დოკუმენტი, თუ კრედიტორმა დაარღვია მისი წარდგენის კანონით დაგენილი ვადა.

შეწყვეტილი სააღსრულებო წარმოება არ შეიძლება ხელახლა დაიწყოს.

17.2 სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისათვის უკან დაბრუნება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

ერთიანი ვალდებულების მხოლოდ დროში განწილვადებული შესრულება საკმარისი არ არის განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გამოყენებისათვის. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობა მიეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას.

⁵⁶ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 34.1 მუხლის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტები.

⁵⁷ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 34.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

საქმე №ბს-100(კ-20) 23 ივლისი, 2020.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები;
- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოების ან/და სამართლებრივი საფუძვლის გამო, ამ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნების საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. მოცემულ საქმეზე დავის საგანი ეხებოდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლად მიჩნევას და სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისათვის უკან დაბრუნებას, სკ-ის 142.2 მუხლის საფუძველზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.⁵⁸ საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, 142-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების ერთმანეთისგან გამიჯვნის კრიტერიუმია ის, თუ რა სახის ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებს შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებით/განჩინებით დადასტურებული მოთხოვნა. განსახილველ შემთხვევაში, ბანკსა და ფიზიკურ პირს შორის დამტკიცებული მორიგების პირობების მიხედვით, მოპასუხემ აღიარა ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკრედიტო ვალდებულებები და ვალდებულება აიღო, მისთვის დაკისრებული თანხა ბანკისათვის აენაზღაურებინა დადგენილი გრაფიკის შესაბამისად. საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა ბანკსა და ფიზიკურ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი და მიიჩნია, რომ სახეზე იყო ერთი ვალდებულება, რომელსაც ფიზიკური პირი იხდის ნაწილ-ნაწილ. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო განჩინებით დამტკიცებული მორიგების შედეგად, პროცესის მონაწილეთა შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება და მიიჩნია, რომ ერთიანი ვალდებულების მხოლოდ დროში განწილვადებული შესრულება საკმარისი არ იყო სკ-ის 142-ე მუხლის მეორე

⁵⁸ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნისათვის სკ-ის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა, რაც თავის მხრივ, შეადგენს 3 წელს.

ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გამოყენებისათვის. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობა მიეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას. მხარეთა შორის შემდგარი მორიგებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ერთიანი ვალდებულების დროში განწილვადებული შესრულება, რის გამოც ამ ვალდებულების მიმართ გამოიყენება სკ-ის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

18. იძულებითი აუქციონის შეჩერებისა და შეწყვეტის დაუშვებლობა

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი დაუშვებლად მიიჩნევს აუქციონის შეჩერებასა და შეწყვეტას (გარდა, კანონის 70-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა).⁵⁹

საქმე №ბს-681(კ-19) 2 ივლისი, 2020.

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტი

საქმეზე, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე, რის გამოც მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენდა სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნება. პალატის განმარტებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ძალაში ყოფნისა, მოსარჩელის ინტერესის დაკმაყოფილება მოცემული დავის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია.

⁵⁹ „აღსრულების კოდექსის“ პროექტში აუქციონის შეწყვეტის წინაპირობები კონკრეტულად და მკაფიოდ არის წარმოდგენილი, აგრეთვე, მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების წესი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კერძო აღმასრულებელმა და შემდგომში, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კანონიერად და სწორად განახორციელა სააღსრულებო ფურცლის აღსრულებისათვის საჭირო პროცედურები, ხოლო მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა, კანონით დადგენილი საშუალებებით გაცნობოდა აღსრულებასთან დაკავშირებით მომავალში განსახორციელებელ ცალკეულ ქმედებას და ვებგვერდის საშუალებით მიეღო ინფორმაცია აუქციონის მიმდინარეობის შესახებ.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტი იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებლად მიიჩნევს აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტას, შეჩერებას, გადადებას, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებას, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. მოცემულ შემთხვევაში კი, დადგენილია, რომ პროკურორის მხრიდან ასეთი მიმართვა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილი არ ყოფილა. პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც კანონიერად იყო მიჩნეული აღმასრულებლის ქმედებები და სადავო განკარგულება, რომელიც აუქციონის შედეგს წარმოადგენდა, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა აუქციონის შედეგების გაუქმების თაობაზე.

კომენტარი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის 1/2/596 გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი აუქციონის შეჩერებისა და შეწყვეტის დაუშვებლობის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილება არ ეხება არამართლზომიერად ჩატარებული აუქციონის

გაუქმების შემთხვევას, გადაწყვეტილებაში საუბარია კანონის მოთხოვნათა დაცვით აუქციონის გამოცხადების შემდეგ განსაკუთრებულ შემთხვევაში/ვითარებაში ორგანოს მიერ აღსრულების შეჩერების კონსტიტუციურობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა კანონის დარღვევით ჩატარებული აუქციონის გაუქმების შესაძლებლობა.⁶⁰ ამ მხრივ, „აღსრულების კოდექსით“ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასამართლოს მიერ, აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე, რაც განხორციელდება ადმინისტრაციული ორგანოს მომართვით ან ბიუროს თავმჯდომარის ინიციატივით.

19. სარჩელის უზრუნველყოფა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების პრევენცია. იგი ქმნის მხარის მოლოდინს, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას ექნება შესაბამისი ეფექტი და არ დაბრკოლდება მისი აღსრულება.

სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფა ესაა სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით და მისი მიზანია, დაცული იქნას დავის საგანი მომავალში, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისათვის. აქედან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის

⁶⁰ იხ.: ასევე სუსგ №ბს-701-697(კ-17)25.01.2018.

ღონისძიების გამოყენება არ გულისხმობს სარჩელის წინასწარ გადაწყვეტას და მის დაკმაყოფილებას არსებით განხილვამდე. სასამართლოს აკისრია როგორც სარჩელის უზრუნველყოფის, ისე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ვალდებულება.⁶¹ მაგალითად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელის წარდგენისას, რომელზედაც მიქცეულია გადახდა, – სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

სარჩელის უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტები გადაწყვეტილების მომავალში აღსრულების გარანტიას წარმოადგენენ. სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მათ შორის, საქმისწარმოების შეჩერების პერიოდში. სასამართლო გადაწყვეტილების შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი წარმოშობს აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მისი აღსრულების აუცილებლობას, ასევე მისი აღსრულების უზრუნველყოფას.

პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას იპოთეკა წარმოადგენს. იპოთეკა – უძრავი ნივთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს უპირატესად ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით, იპოთეკის საგნის რეალიზაციით ან საკუთრებაში გადაცემით. იგი ხელს უწყობს კრედიტორს, წინასწარ შეაფასოს მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, რამდენად უზრუნველყოფის იპოთეკის საგანი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

19.1 სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები

სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლის მიერ წარდგენილია

⁶¹ სსკ-ის 271-ე მუხლი.

დასაბუთებული და არგუმენტირებული პოზიცია კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის თაობაზე.

საქმე №ბს-469(უს-19) 16.04.2019.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი.

უძრავი ქონებიდან მოპასუხის გამოსახლების თაობაზე აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებით დავაზე, საკასაციო განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება; ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლის მიერ წარდგენილია დასაბუთებული და არგუმენტირებული პოზიცია კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის თაობაზე, რის გამოც განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში, შესაძლო უარყოფითი გავლენა გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან შეუძლებლობის თაობაზე. პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებელმა კონკრეტულად და რეალურად ვერ მიუთითა იმ კანონშეუსაბამობის თაობაზე, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას ან შეუძლებლობას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას.

20. სააღსრულებო წარმოების შეჩერება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ

სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესაძლებლობა არსებობს როგორც სასამართლოს, ასევე აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილებით. შეჩერების საფუძვლები რა თქმა უნდა, განსხვავებულია. სასამართლოს მხრიდან აღსრულების შეჩერება ხდება განჩინების საფუძველზე, რომელიც აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენისას კანონიერ ძალაში უნდა იყოს შესული. წინააღმდეგ შემთხვევაში სააღსრულებო წარმოება არ შეჩერდება.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით ამომწურავად განსაზღვრულია აღსრულების შეჩერების საფუძვლები და მისი ვადები, რომელიც მხარეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. იმავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულების შეჩერების უფლებამოსილების ჩამონათვალს, მათ შორის, „ზ“ ქვეპუნქტით აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აღსრულება შეაჩეროს განსაკუთრებულ შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით.⁶²

აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებაზე ან ყადაღის დადების შემდეგ, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ამავე ქონებას სასამართლომ ყადაღა დაადო სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ქონებაზე აღსრულებას აჩერებს პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე.

საკასაციო სასამართლომ სააღსრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავაზე⁶³ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ ეტაპზე, რომელზეც მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება – ნებაყოფლობითი აღსრულების ეტაპზე, არსებობდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ამ ქონებაზე აღსრულების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი, პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე. პალატის განმარტებით, მხოლოდ სსიპ

⁶² „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღსრულების შეჩერების საფუძველი - განსაკუთრებული შემთხვევა გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს მოთხოვნის დროს შეჩერების რეალური და არა სავარაუდო, მოსალოდნელი განსაკუთრებული შემთხვევა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სხვაგვარი შედეგის დადგომა.

⁶³ სუსგ №ბს-1012(კ-19) 05.03.2020.

აღსრულების ეროვნული ბიურო ან მისი ტერიტორიული ორგანო იყო უფლებამოსილი მოითხოვოს საქართველოს მთავარი პროკურატურის პოზიცია აღსრულების გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე, რისი შესაძლებლობაც მოვალეს არ გააჩნია. პალატის განმარტებით, აღნიშნული ნორმა წარმოადგენს პოზიტიური ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ეროვნულ კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში ასახული საკუთრების უფლების (რომელიც განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს აღსრულებად ვალს) დასაცავად განხორციელებული კონკრეტული ღონისძიების გამოხატულება. აღნიშნული ქმნის გარანტიას, რომ ერთი სახელმწიფო ორგანოს – პროკურატურის მოქმედებამ არ გამოიწვიოს სხვა სახელმწიფო ორგანოს – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შეფერხება, რომელსაც შედეგად მოსდევს მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა.⁶⁴

21. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საფუძველი და სახეები

ხშირ შემთხვევაში, სასამართლოში სარჩელის განხილვას გარკვეული დრო სჭირდება, რამაც უფლების წინასწარი დაცვის, სარჩელის უზრუნველყოფის არარსებობის შემთხვევაში, შეიძლება გაართულოს ან შეუძლებელიც კი

⁶⁴ პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში განმარტა, რომ როდესაც საქმის გარემოებები ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებულებები შესაძლოა უფრო ლიბერული იყოს, ვიდრე იმ საქმეებში, სადაც მომჩივანი დგას საკუთრების დაკარგვის წინაშე სახელმწიფოს მხრიდან საზიფათო სიტუაციებში გამოჩენილი უყურადღებობის გამო (კოტოვი რუსეთის წინააღმდეგ, No. 54522/00, 03.04.2012, 111-ე პარაგრაფი). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლი უზრუნველყოფს უფლებას არსებულ ქონებაზე, რაც ასევე, მოიცავს მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს აქვს საკუთრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მინიმუმ, „ლეგიტიმური მოლოდინი“ (მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Maurice v. France), No. 11810/03, 6.10.03). მომავალი შემოსავალი განიხილება „საკუთრებად“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უკვე გამოუმავებულია ან მასზე აღსრულებადი მოთხოვნა უკვე არსებობს (ამბრუსი იტალიის წინააღმდეგ (Ambruosi v. Italy), No. 31227/96, 19.10.00, მე-20 პარაგრაფი). „როდესაც საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ინტერესი მოთხოვნის ბუნებისაა, პირს, რომელსაც ის გააჩნია, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს „ლეგიტიმური მოლოდინის“ მქონედ თუ აღნიშნული ინტერესის არსებობისთვის საკმარისი და სათანადო საფუძველი არსებობს ეროვნულ სამართალში...“ (კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Kopecký v. Slovakia), No. 44912/98, 28.9.04 (დიდი პალატა), 52-ე პარაგრაფი). ასევე, სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში უკვე არაერთხელ გაამაზვილა ყურადღება განსხვავებაზე სარგებლის მიღების იმედსა (როგორი გასაგებიც არ უნდა იყოს ეს იმედი) და ლეგიტიმურ მოლოდინს შორის, რომელიც აუცილებელია, იყოს უფრო კონკრეტული ბუნების, ვიდრე უბრალო იმედი და ეფუძნებოდეს სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს“ (რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Ramaer and Van Willigen v. the Netherlands), No. 34880/12, 23.10.2012. 81-ე პარაგრაფი).

გახადოს გადაწყვეტილების აღსრულება, რის შედეგად ირღვევა მხარის უფლებები და მხარე ვეღარ ახდენს მათ რეალიზაციას, მაშინ როდესაც აუცილებელია მხარის უფლების ეფექტური დაცვა.

უფლების ეფექტური დაცვა გულისხმობს, როგორც რეპრესიულ დაცვას ანუ დარღვეული უფლების აღდგენას, ასევე დროებით დაცვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პირის დაცვა. დროებითი დაცვა გულისხმობს უფლების პრევენციულ დაცვასაც ანუ მოსალოდნელი ღონისძიებების შედეგების თავიდან აცილებას.

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება არ უნდა იყოს ფორმალური, არამედ იგი როგორც პრევენციულად, აგრეთვე, რეპრესიულად უნდა ემსახურებოდეს მოსარჩელის/პოტენციური მოსარჩელის უფლების ეფექტურ, ქმედით დაცვას.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესოსამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.⁶⁵

სსკ-ის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე, განცხადება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანს წარმოადგენს იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შედეგად შეიძლება შეიქმნას საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების თვალსაზრისით.

⁶⁵ სუსგ .№ბს-320(კს-20) 09.09.2020.

სარჩელის უზრუნველყოფის სახეები ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, თუმცა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი თავად არეგულირებს და განსაზღვრავს უფლების წინასწარი დაცვის მექანიზმებს. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია პრევენციული დაცვის ისეთი ღონისძიებები როგორცაა, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება⁶⁶ და დროებითი განჩინების მიღება.⁶⁷ აღნიშნული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება და მხარეთა შორის დავის დასრულებამდე ახდენს მოსარჩელის უფლებებისა და ინტერესების დროებით დაცვას და უზრუნველყოფს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილებას. უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს, ხოლო დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ყველა სხვა სახის სარჩელთან მიმართებაში.

22. სარჩელის უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების გამოყენება ადმინისტრაციულ დავების განხილვისას

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა თავად არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ ღონისძიებას, როგორც არის გასაჩივრებული ინდივიდუალურადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება⁶⁸ და დროებითი განჩინების მიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ.⁶⁹ კერძოდ, ითვალისწინებს მხარის უფლებას

⁶⁶ სასკ-ის 29-ე მუხლი.

⁶⁷ იმავე კოდექსის 31-ე მუხლი.

⁶⁸ სასკ-ის 29-ე მუხლი.

⁶⁹ სასკ-ის 31-ე მუხლი.

სარჩელის აღძვრამდე ან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რათა დავის საგანთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ. დაუშვებელია სასკ-ის 31-ე მუხლით განსაზღვრული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ პირს შეუძლია აღძრას სარჩელი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. ამდენად, შეცილებითი სარჩელის აღძვრისას გამოიყენება სასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალურადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით ან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია, მხოლოდ დავის საგანთან დაკავშირებით და მხოლოდ არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით.

23. სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძველი

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური აქტის მოქმედებას. ინდივიდუალური აქტის მოქმედება ავტომატურად ჩერდება სასამართლოში სარჩელის წარდგენით, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრებით ჩერდება საჯარიმო თანხის გადახდის ვალდებულება, გასაჩივრებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ექცევა სასკ-ის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის რეგულირების სფეროში (ადმინისტრაციული აქტის

კანონისმიერი შეჩერება), ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის მოქმედება ჩერდება კანონით, ავტომატურ რეჟიმში.

ერთ-ერთ დავაზე,⁷⁰ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება ხდება კანონისმიერად – ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენა ავტომატურად, მხარის შუამდგომლობის გარეშე და მოსამართლის ნებისგან დამოუკიდებლად, იწვევს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შეჩერებას. ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სხვა დავაზე⁷¹ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სუსპენზიური ეფექტიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის წარდგენა ავტომატურად იწვევს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელთა თაობაზე სარჩელის წარდგენაც აქტის მოქმედების შეჩერებას ავტომატურად არ იწვევს. სასკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი აწესებს გამონაკლისებს ამავე მუხლის პირველი ნაწილიდან და ადგენს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როცა გასაჩივრებული აქტის მოქმედება ავტომატურად არ ჩერდება. კერძოდ, თუ: ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

⁷⁰ სუსგ. №ბს-1389(კს-19), 26.02.2020.

⁷¹ სუსგ. №ბს-141(კს-20), 08.04.2020.

სასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება – გასაჩივრებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სუსპენზიური ეფექტიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის წარდგენა ავტომატურად იწვევს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას. ამასთან, დასახელებული მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელთა თაობაზე სარჩელის წარდგენაც აქტის მოქმედების შეჩერებას ავტომატურად არ იწვევს. მათ შორის, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას („ბ“ ქვეპუნქტი). სადავო არ არის, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი განეკუთვნება სწორედ სასკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ისეთი ადმინისტრაციული აქტების წრეს, რომელთა მიმართაც არ მოქმედებს სუსპენზიური ეფექტი და სარჩელის სასამართლოში წარდგენა არ იწვევს გასაჩივრებული აქტების მოქმედების ავტომატურად შეჩერებას. იმავე კოდექსის 29-ე მუხლის ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

23.1. აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანების მოქმედების შეჩერება სასამართლოს მიერ საბოლოო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამოტანამდე

საქმე №ბს-349(კს-19) 16.04.2019.

– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი.

დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების კანონიერებასთან დაკავშირებით დავაზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სასკ-ის 29-ე მუხლში რეგლამენტირებულია ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება, ასევე მოცემულია ყველა ის სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც უკავშირდება სასამართლოს მიერ აქტის მოქმედების შეჩერებას, მათ შორის, სასამართლო განჩინებაზე კერძო საჩივრის დაშვება, აქტების მოქმედების შეჩერების გაუქმება და ა.შ.

სასკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად არ შეჩერდება თუ ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

კომენტარი

აღსრულების შეჩერება და მისი ვადები მხარეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

სასკ-ის 29-ე მუხლში განსაზღვრული სარჩელის სუსპენსიური ეფექტი უფლების დროებით დაცვას ემსახურება, რომლის მიზანია დაიცვას პირი მმართველობის ღონისძიებების შედეგებისაგან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა, ეს მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც დავის საგანი უკვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, ხოლო როდესაც საქმე ეხება

მოსალოდნელ მმართველობით ღონისძიებას – ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემას ან მოქმედების განხორციელებას ან განხორციელებისაგან თავის შეკავებას და აქედან გამომდინარე, პირის უფლებების მოსალოდნელ შეზღუდვებს, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია პირის უფლების პრევენციული დაცვის მექანიზმი, რომელიც აისახა სასკ-ის 31-ე მუხლში. აღნიშნული მუხლი მხარეს აძლევს შესაძლებლობას, სარჩელის აღძვრამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს ღრობითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს ღრობითი განჩინება ასევე, გამოიყენება სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის ან არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან სხვა საფუძვლების გამო. ორივე შემთხვევაში, ღრობითი განჩინების მიზანი ერთია – დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ისეთი მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც შესაძლებელს გახდის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. მათ შორის განსხვავება მიზნის მიღწევის საშუალებებში მდგომარეობს – პირველ შემთხვევაში, სასამართლოს ღრობითი განჩინების მიზანია, შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა დაინტერესებული პირის უფლებების დაცვის მიზნით,⁷² ხოლო მეორე შემთხვევაში, ხდება არსებული მდგომარეობის შეცვლა დაინტერესებული პირის უფლებების დაცვის მიზნით.⁷³

24. ღრობითი განჩინების პრევენციული ბუნება

ადმინისტრაციულ პროცესში ღრობითი განჩინების ინსტიტუტი უფრო ფართო გამოყენების ფარგლებს ადგენს, ვიდრე აქტის მოქმედების შეჩერების უზრუნველმყოფი ღონისძიება. იგი არა ავტომატურად, არამედ მხოლოდ სასამართლოს მიერ პირის შუამდგომლობის საფუძველზე და არსებული მდგომარეობის შენარჩუნების ან სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარ, ღრობითი მოწესრიგების მიზნით გამოიციემა. ამასთან, სასამართლოს ღრობითი განჩინება პირის უფლების დასაცავად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გამოირიცხება ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობა. ღრობითი განჩინება წარმოადგენს უფლების წინასწარი დაცვის

⁷² სასკ-ის 31-ე მუხლის I ნაწილის I წინადადება.

⁷³ სასკ-ის 31-ე მუხლის I ნაწილის II წინადადება.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს. როდესაც საქმე ეხება მოსალოდნელ მმართველობით ღონისძიებას – ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემას, მოქმედების განხორციელებას ან განხორციელებისაგან თავის შეკავებას და აქედან გამომდინარე, პირის უფლებების მოსალოდნელ შეზღუდვას, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია პირის უფლების პრევენციული დაცვის ასეთი მექანიზმი, როგორცაა დროებითი განჩინება. სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება ასევე, დასაშვებია სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესს არსებული მდგომარეობის შენარჩუნება წარმოადგენს, რათა ხელი არ შეეშალოს საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას.

სასკ-ის 31-ე მუხლი არ იძლევა დროებითი განჩინების მიღების შესაძლებლობას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში და იმპერატიულად განსაზღვრავს აღნიშნული განჩინების მიღებაზე უფლებამოსილ სასამართლოთა ჩამონათვალს. სასკ-ის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დროებითი განჩინების მიღების უფლება ენიჭება საქმის განმხილველ სასამართლოს, მხოლოდ პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში დავის განხილვის დროს.

ერთ-ერთ საქმეზე⁷⁴ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასკ-ის 31-ე მუხლით დადგენილია სარჩელის აღძვრამდე სასამართლოსადმი მიმართვის პრაქტიკა და აღნიშნულს გააჩნია პრევენციის დანიშნულება, ვინაიდან იგი ითვალისწინებს მოსალოდნელ საშიშროებას, რაც შეიძლება გამოიხატოს არსებული მდგომარეობის შეცვლაში ან განმცხადებლის უფლების რეალიზაციისათვის ხელის შეშლაში ან გართულებაში. ამასთან, დროებითი განჩინება ფაქტობრივად, უფლების დაცვის დროებით ღონისძიებას წარმოადგენს, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ნორმის შინაარსიდან ნათელია, რომ სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ამგვარი განჩინება, როდესაც სარჩელის შეტანა თავისთავად არ იწვევს მოსარჩელის უფლების დაცვას და აუცილებელი ხდება დამატებითი ღონისძიებების განხორციელება პირის

⁷⁴ სუსგ №ბს-67(კს-20), 08.04.2020.

სამართლებრივი მდგომარეობის დასაცავად. სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, მნიშვნელოვანი ზიანისა და არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია განმცხადებლის მიერ დროებითი განჩინების მიღება, ვინაიდან დავის დასრულებამდე მხარეს არ შეეზღუდოს უფლება ისარგებლოს აღიარებული და სახელმწიფოს მიერ დაწესებული სასიცოცხლო სიკეთეებით.

სხვა საქმეზე,⁷⁵ სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეპრესიული ღონისძიებების ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მიუხედავად, პირთა უფლებების ეფექტური დაცვა მთელ რიგ შემთხვევებში, აგრეთვე, უფლების დაცვის დროებითი, პრევენციული საშუალებების ქმედით გამოყენებას უკავშირდება. ამდენად, ადმინისტრაციულმა საპროცესო კანონმდებლობამ თითოეულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიზნებისათვის გაითვალისწინა უფლების დაცვის პრევენციული საშუალებებიც, რომელთა მიზანი დაინტერესებული მხარის ინტერესების ადმინისტრაციული სამართალწარმოების დამთავრებამდე დაცვის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, უფლების დაცვის პრევენციულ საშუალებებს აქვთ დარღვეული უფლების აღდგენის დაცვის წინასწარი უზრუნველყოფის, გარანტიის ფუნქცია. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს მხარის ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს დროებითი ღონისძიების გამოყენებით, დავის საბოლოოდ დასრულებამდე, დააზღვიოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიან სარგებლობასთან დაკავშირებული რისკები.

დროებითი განჩინების მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ დროებით განჩინების გამოცემის გზით შესაძლებელია როგორც უფლების დარღვევის დროებით შეჩერება – არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, აგრეთვე, წინასწარი მოწესრიგებაც, რაც პირისათვის სასურველი ქმედების წინასწარ, დროებით განხორციელებას გულისხმობს.

საკასაციო პალატის განმარტებით, სასკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში მოცემულია ის კონკრეტული შემთხვევა, როდესაც პირს აქვს უფლება მოითხოვოს დროებითი განჩინებით არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. კერძოდ, როცა განმცხადებელს შეუძლია დასაბუთება, რომ არსებობს რეალური საფრთხე და სასამართლოს მიერ მისი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, არსებული მდგომარეობის შეცვლით მას ხელი შეეშლება სუბიექტური უფლების რეალიზებაში ან აღნიშნული

⁷⁵ სუსგ №ბს-734(კს-19), 12.09.2019.

მნიშვნელოვნად გართულდება. რაც შეეხება სასკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებას, დაინტერესებული მხარის მოთხოვნა დროებითი განჩინებით სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების თაობაზე დაკმაყოფილდება, თუ ეს აუცილებელია გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო. ამდენად, იმისათვის, რომ პირის მოთხოვნა დასაბუთებული იყოს, აუცილებელია ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი წინაპირობების და, რაც მთავარია, რეალური და არა აბსტრაქტული საფრთხის არსებობა.

კომენტარი

პრევენციული ღონისძიებების დანიშნულება სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებაა. მათი მიზანია ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს, შესაბამისად, მისი გამოყენება მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან მისი შეუძლებლობის თავიდან აცილებისკენ, მხოლოდ დავის საგანთან დაკავშირებით და არსებული მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

დროებითი განჩინების მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ დროებით განჩინების გამოცემის გზით შესაძლებელია როგორც უფლების დარღვევის დროებით შეჩერება – არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, აგრეთვე, წინასწარი მოწესრიგებაც, რაც პირისათვის სასურველი ქმედების წინასწარ, დროებით განხორციელებას გულისხმობს.

სასკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლის გამო.

ადმინისტრაციულ პროცესში დროებითი განჩინების ინსტიტუტი უფრო ფართო გამოყენების ფარგლებს ადგენს, ვიდრე აქტის მოქმედების შეჩერების უზრუნველყოფი ღონისძიება. იგი არა ავტომატურად, არამედ მხოლოდ სასამართლოს მიერ პირის შუამდგომლობის საფუძველზე და არსებული მდგომარეობის შენარჩუნების ან სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარ, დროებითი მოწესრიგების მიზნით გამოიციემა. ამასთან, სასამართლოს დროებითი განჩინება პირის უფლების დასაცავად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გამოირიცხება ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობა. დროებითი განჩინების მიღების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. დროებით განჩინებას სასამართლო იღებს დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე. დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელი ხდება უფლების დროებითი დაცვა სასკ-ის 29-ე მუხლის საფუძველზე, ანუ როდესაც ჯერ კიდევ შეუძლებელია ამკრძალავი (შემზღუდველი) ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის შეტანა.

სარჩელის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლების აცილების საპროცესო საშუალებას წარმოადგენს და ემსახურება იმ მიზანს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, განუხორციელებლად არ ქცეულიყო გადაწყვეტილებით აღდგენილი უფლება. თავის მხრივ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების მიზანს წარმოადგენს დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ისეთი მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების პრევენცია. იგი ქმნის მხარის მოლოდინს, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას ექნება შესაბამისი ეფექტი, არ დაბრკოლდება მისი აღსრულება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც ინსტრუმენტული უფლება, მოიცავს არამხოლოდ სასამართლოსადმი ფორმალურად მიმართვას, არამედ სასამართლოს შესაძლებლობას, უფლების დარღვევის ფაქტზე მოახდინოს ეფექტური რეაგირება. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან

იმგვარი რეგულაციის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურ აღსრულებას.⁷⁶

სასკ-ის 31.2 მუხლის თანახმად, დროებითი განჩინების მიღების უფლება ენიჭება საქმის განმხილველ სასამართლოს, სადაც იგულისხმება მხოლოდ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები.

25. ძირითადი თეზისები

- „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც;
- სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით;
- აღსრულებას ექვემდებარება როგორც სასამართლო გადაწყვეტილება ასევე, სხვა ტიპის სამართლებრივი აქტები;
- იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ვალდებული მხარე ნებაყოფლობით არ ასრულებს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს იმ იძულებითი ხასიათის ღონისძიებების განხორციელების პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების იმპერატიულობის, სავალდებულობის კონსტიტუციური პრინციპის ქმედითობას;
- აღსრულების შეწყვეტის საფუძვლების მითითება (თუნდაც ისინი ნამდვილად არსებობდეს) თავისთავად არ ადასტურებს აღსრულების შეწყვეტას და საჭიროებს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, რამდენადაც დაინტერესებული პირისათვის შედეგს იწვევს შესაბამის საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული

⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-6. 01.12.2017.

გადაწყვეტილება და არა თავისთავად გადაწყვეტილების მიღების საფუძვლის არსებობა;

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის შესაბამისად, კრედიტორის წერილობითი განცხადება და სააღსრულებო ფურცელი ქმნის სააღსრულებო მოქმედების დაწყების საფუძველს, თუმცა აღნიშნული ავტომატურად არ ნიშნავს სააღსრულებო წარმოების დაწყებას. საამისოდ აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს შესაბამის სააღსრულებო მოქმედებებს;
- კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება დაუშვებელია, გარდა საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობისას, რის გამოც, დაუშვებელია კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილების დანაწესის დაძლევა აღსრულების პროცედურებით;
- პროცესუალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საზედამხედველო წარმოების წესებს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას, აღსრულების წარმოების შედეგად გამოცემული აქტით აღსასრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგის გადასინჯვის შესაძლებლობას.
- სამართლებრივი ვალდებულების შესრულების მიზნით, აღმასრულებელი უფლებამოსილია, დააყადაღოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება, ასევე – მოთხოვნები;
- აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებიდან, თუ აღსრულების პროცესში შესაძლებელია ზუსტად დადგენა, ვის ეკუთვნის ქონება რეალურად;
- იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებულ უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის სახით დადებული ყადაღის არსებობა არ წარმოადგენს აღსრულების შეჩერების საფუძველს, რადგან მსგავს პირობას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი არ ითვალისწინებს;
- ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებებში მოიაზრებს მხოლოდ სანივთო უფლებებს და იგი არ ეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებულ ყადაღას;
- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და იგი მხოლოდ

ყადაღადადებული ქონების მესაკუთრის მხრიდან განკარგვის აკრძალვას ემსახურება;

- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავებით, არ გააჩნია აქცესორული (მიმდევნებითი) ბუნება;
- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფუნქციას მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა წარმოადგენს;
- მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ანუ სანივთო უფლების ფუნქცია შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა, რაც გულისხმობს, რომ მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება ანუ მოვალის შესასრულებელ ვალდებულებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ანაცვლებს;
- აღმასრულებელი ვალდებულია შეწყვიტოს იძულებითი აღსრულება თუ გავიდა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა;
- აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებო წარმოების დაწყების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადება და სააღსრულებო ფურცელი.

26. დასკვნა

სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას - მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაში გამოიხატება, სამართლიანი განხილვის უფლება ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც მოიცავს. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის

ხელის შეშლა ისჯება კანონით. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას სავალდებულო და სახელისუფლებო-იმპერატიული ძალის ბუნება აქვს. სასამართლო აქტების შესრულების სავალდებულოება კონსტიტუციური პრინციპია. სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულოების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით გათვალისწინებულია იძულებითი აღსრულების მექანიზმი. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის შეუსრულებლობა არღვევს, ხელყოფს სასამართლო წესით უფლების დაცვის არსს, ამიტომ სასამართლომ არა მარტო უნდა გააკონტროლოს აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულების პროცესში შესრულებული მოქმედებები, არამედ აგრეთვე, უნდა შეაფასოს ამ მოქმედებათა შესრულების მიზანშეწონილობა და კანონიერება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მნიშვნელობა მხოლოდ მის აღსრულებაშია, რის გამოც გადაწყვეტილების აღსრულების გონივრული ვადების დარღვევა გადაწყვეტილების აღუსრულებლობას უთანაბრდება. მართალია, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სააღსრულებო პროცედურების განხორციელების კონკრეტულ ვადებს, მაგრამ თავად აღსრულების მიზნებიდან გამომდინარე, აღსრულება უნდა იყოს ეფექტიანი და გონივრულ დროში განხორციელებული, რა დროსაც აღსრულების კონკრეტული ვადების განუსაზღვრელობამ აღსრულების ორგანოებს არაკეთილსინდისიერებისა და საქმის გაჭიანურებისკენ არ უნდა უბიძგოს. სასამართლოს გადაწყვეტილების დროული, ეფექტიანი და ჯეროვანი აღსრულება სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სააღსრულებო სამართალი საჯარო სამართალს მიეკუთვნება, ვინაიდან მისი საგანია სასამართლო გადაწყვეტილებების და კანონით გათვალისწინებული სხვა აქტების „იძულების ძალით“ განხორციელება, რაც ლეგიტიმირებულია არა კრედიტორის კერძოსამართლებრივი მოთხოვნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებაა სააღსრულებო სამართლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, მოვალის უფლებებსა და თავისუფლებებში კანონისმიერი ჩარევის გზით, აღასრულოს კრედიტორის მოთხოვნა – სახელმწიფოს დახმარებით განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების მიერ (გადაწყვეტილებით) ტიტულირებული, დადასტურებული მოთხოვნა, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს სააღსრულებო კომპეტენციის გამოვლინებას. ამდენად ცალსახაა, რომ ისევე როგორც სახელმწიფოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, სააღსრულებო ორგანოების, როგორც სახელმწიფო ორგანოების მოქმედებაც უნდა იყოს კონსტიტუციასთან შესაბამისი და სათანადოდ უნდა იცავდეს აღსრულების წარმოების ყველა მონაწილის ძირითად უფლებებსა და

თავისუფლებებს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესი, რომლის მიხედვით, აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში. იძულებითი აღსრულების პროცესში აღმასრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს აღსასრულებელი აქტის დროულად და ეფექტურად აღსრულება, თუმცა აღნიშნული არ უნდა მოხდეს სააღსრულებო წარმოების მხარეების, კერძოდ მოვალის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე.

ვინაიდან იძულებითი აღსრულება როგორც წესი, ვერ ხორციელდება უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევის გარეშე, აუცილებელია მისი ეფექტიანი სასამართლო კონტროლი, წარმოების დასაწყისიდან, მის ყველა სტადიაზე. რიგ შემთხვევებში არ გამოირიცხება აღსრულების შეწყვეტის, შეჩერების, გაუქმების აუცილებლობა ან/და აღსრულების პრაქტიკული შეუძლებლობა. სამართლიანი სასამართლოს უფლება შესაძლოა შეიზღუდოს დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი და კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საჯარო მიზნების მისაღწევად, თუმცა უფლებაში ჩარევა უნდა განხორციელდეს კანონის ნათლად ფორმულირებული წესის საფუძველზე, ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და პროპორციული/თანაზომიერი საშუალებით. სააღსრულებო წარმოების ფარგლებში სამართლებრივი საშუალებები ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოფდეს იძულებითი აღსრულების გაჭიანურების თავიდან აცილებას, ხოლო მეორე მხრივ, კრედიტორის მოთხოვნების შეძლებისდაგვარად, სწრაფად და სრულად განხორციელებას. ამასთან, მოვალეს უნდა შეეძლოს კანონით გაუთვალისწინებელი ჩარევისაგან თავის დაცვა. როგორც სასამართლო, ისე არასასამართლო აქტებს აღასრულებენ აღმასრულებლები. სააღსრულებო ორგანოებს აღსრულების პროცესში ევალებათ სამართლიანი ბალანსის დაცვა კრედიტორის მოთხოვნებსა და მოვალის, ასევე სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სხვა პირთა ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის.

სასამართლოს აკისრია როგორც სარჩელის უზრუნველყოფის, ისე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ვალდებულება.⁷⁷ სარჩელის უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის

⁷⁷ სსკ-ის 271-ე მუხლი.

ინსტიტუტები მომავალში, გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიას წარმოადგენენ.⁷⁸

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღეის მდგომარეობით, 1999 წლის 16 აპრილს მიღებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი მოძველებულია და ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რის გამოც შეიმუშავდა აღსრულების კოდექსის პროექტი.

პროექტის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებს კოდექსის შემუშავებაში დახმარებას უწევდნენ ფრანგი, შვედი და ჰოლანდიელი ექსპერტები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ერთობლივი პროექტის (Development of Enforcement Legislation Project in Georgia) ძალისხმევის შედეგად, შესაძლებელი გახდა ევროპული სტანდარტების შესაბამისი აღსრულების კოდექსის შექმნა.

აღსრულების კოდექსის კანონპროექტის შესაბამისად, უქმდება „აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლისა“ და „კერძო აღმასრულებლის“ ინსტიტუტები და იქმნება ახალი სუბიექტი – სსიპ აღმასრულებელთა პალატა, რომლის შემადგენლობაში შევა ყველა აღმასრულებელი.

აღსრულების ახალი კოდექსი ხელს შეუწყობს საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანია უცხოელი ინვესტორებისათვის, ბანკებისა და ადგილობრივი მეწარმეებისათვის.

⁷⁸ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I, სდასუ, თბილისი, 2018. გვ. 100.